მარიკა ჩიკვაიძე
ლია ანთიძე, ლალი იაშვილი

მუსიკა

IV კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი 2023

მარიკა ჩიკვაიძე, ლია ანთიძე, ლალი იაშვილი

მუსიკა IV

მასწავლებლის წიგნი

I გამოცემა, 2023

რედაქტორი
მაია იანტბელიძე

დამკაბადონებელი
ლიკა სხირტლაძე

გამოყენებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესურსი

ISBN 978-9941-31-630-2

© მარიკა ჩიკვაიძე, ლია ანთიძე, ლალი იაშვილი, 2023.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2023.

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №5
225-05-22, 291-22-83, 5(99) 55-66-54
ფაქსი: 225-05-22
ელფოსტა: info@intelekti.ge ვებგვერდი: www.intelekti.ge

სარჩევი

I შესავალი 5
II კომპლექტაცია 5
III მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი სტანდარტი 7
IV მდგრადი განვითარება 13
V როგორ მოვახდენთ ცოდნის კონსტრუირებას? 13
VI რა შემთხვევაში მიიჩნევა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები მიღწეულად.. 15
VII კომპლექსური დავალებები, აქტივობები, კომენტარები 16

I თავი. თემა: მუსიკა და ტელევიზია

კომპლექსური დავალება № 1 (აქტივობა 18-22) 17
აქტივობა 1 21
აქტივობა 2 22
აქტივობა 3 23
აქტივობა 4- 5 24
აქტივობა 6 26
აქტივობა 7 27
აქტივობა 8-9 28
აქტივობა 10-12 28
აქტივობა 13-14 31
აქტივობა 15-17 32

II თავი. თემა: მუსიკა და თავისუფალი დრო

კომპლექსური დავალება № 2 (აქტივობა 40-44) 35
აქტივობა 23-24 40
აქტივობა 25-26 42
აქტივობა 27-29 44
აქტივობა 30-31 48

აქტივობა 32-33 49
აქტივობა 34-36 50
აქტივობა 37-39 53

III თავი. თემა: მუსიკა ანიმაციასა და საყმაწვილო კინოში

კომპლექსური დავალება № 3 (აქტივობა 56-60) 56
აქტივობა 45-46 62
აქტივობა 47 62
აქტივობა 48 63
აქტივობა 49 64
აქტივობა 50 65
აქტივობა 51 66
აქტივობა 52-53 67
აქტივობა 54-55 68
კომპლექსური დავალება №4 (აქტივობა 64 -68) 70
აქტივობა 61 75
აქტივობა 62 78
აქტივობა 63 79

VIII – ელექტრონული რესურსის ჩამონათვალი 82
IX – მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი 83
სანოტო დანართი 87
ინფორმაცია Linux პროგრამის შესახებ: LMMS, anu Linux MultiMedia Studio 127

I – შესავალი

ჩვენ მიერ შედგენილი მეოთხე სასწავლო წლის მოსწავლის სამუშაო რვეული და მასწავლებლის სარეკომენდაციო მუსიკის წიგნის **შინაარსი** შეესაბამება სტანდარტში ჩამოყალიბებულ ზოგადსა და საფეხურებრივ მიზნებს, თანამედროვე კონცეფციებს, მოსწავლეთათვის ნაცნობ სამყაროს. ამ შინაარსის მრავალფეროვანი **მეთოდებით** განხორციელება – მასწავლებლის წიგნის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მივიჩნიეთ.

სწავლების ამ საფეხურზე ჩვენი მიზანია, მოზარდს მუსიკის გაკვეთილზე ჩამოუყალიბდეს და განუვითარდეს სხვადასხვა უნარ-ჩვევა: თვითგამოხატვის – თავისი დამოკიდებულებების, ემოციის ახსნის, წარმოსახვისა და ძველსა და ახალს შორის კავშირის დამყარების, გაანალიზების, მღერის. ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ასაკსა და გარემომცველი სამყაროს შესაბამის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კლასგარეშე ზეგავლენებს, საგანთაშორის კავშირებს.

II – კომპლექტაცია

სახელმძღვანელოს თითოეული სახის მოკლე აღწერა და პრაქტიკული გამოყენება (ნავიგაცია)

წარმოდგენილი ნაშრომი შეიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მოსწავლის სამუშაო რვეული;
- მასწავლებლის წიგნი;
- ელექტრონული რესურსი.

1. **მოსწავლის სამუშაო რვეული** – ჩვენი მიზანია, ბავშვში, მისი აღქმითი უნარების შესაბამისად, გავაღვივოთ ინტერესი მუსიკისადმი, მუსიკის გაკვეთილებისადმი, სისტემაში მოვიყვანოთ მისი შესაძლებლობები; შევუქმნათ წარმოდგენა სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენისა და ადამიანის შინაგანი სამყაროს შესახებ, რაც თავისებურად აისახება მუსიკალურ მხატვრულ სახეებში.

სამუშაო რვეული სტანდარტით გათვალისწინებული სამი თემის ფარგლებში შეიცავს დავალებებს (ეს დავალებები მასწავლებლის წიგნში აქტივობების სახით არის წარმოდგენილი), რომლებიც წარმოადგენს ერთგვარ ნაბიჯებს, შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შესასრულებლად. ხშირ შემთხვევაში თითოეული დავალების (აქტივობის) განხორციელებას დაეთმობა ერთი საგაკვეთილო საათი. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაო რვეული, როგორც რესურსი, ყველა გაკვეთილის წარმართვისთვის არ არის გათვალისწინებული, ზოგჯერ მასწავლებლის წიგნში განთავსებული აქტივობებისა და სამუშაო რვეულის დავალებების ნუმერაცია არ ემთხვევა

ერთმანეთს, თუმცა, ვფიქრობთ, მასწავლებელს არ გაუძნელდება სახელმძღვანელოს გამოყენება (ორიენტირება).

დავალების ინსტრუქციის მიცემამდე, მოსწავლეებს მცირე ინფორმაციასაც ვაწვდით კონკრეტული საკითხის შესახებ. ეს არის ადვილად გასაგები ტექსტები (ე.წ. „ცოდნის სკივრი“), ფერადოვანი ილუსტრაციები, რაც, ვფიქრობთ, დაეხმარება პატარებს გაკვეთილის შინაარსის აღქმასა და გაგებაში. არანაკლებ მნიშნელოვანია დავალებების ბოლოს დასმული შეკითხვები, რაც მასწავლებლისთვის ერთგვარ უკუკავშირს წარმოადგენს; იგი გაარკვევს, თუ რამდენად აითვისა, გაიგო ბავშვმა გადაცემული ცოდნა/ინფორმაცია. ეს კითხვები დაეხმარება მოსწავლეს საკითხის გააზრებასა და განზოგადებაში.

2. **ელექტრონული რესურსი** – იმაზე, თუ რა სახის რესურსს გამოვიყენებთ სასწავლო პროცესში, ბევრადაა დამოკიდებული მოსწავლეთა დაინტერესების, კლასში ჩართულობის, მათ მიერ მასალის აღქმის ხარისხი. პატივცემულ მასწავლებლებს გაკვეთილის ეფექტურად წარმართვისათვის ვთავაზობთ აუდიო/ვიდეოფირებს, რომლებიც განკუთვნილია საგნის სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად, საგნობრივი სტანდარტის შედეგებზე გასასვლელად. ვიდეო/აუდიო ფირების, ე.წ. „ხმა-სემპლების“ ნახვა/მოსმენა სწავლა-სწავლების პროცესს სიცხადეს მიანიჭებს, მასწავლებელს გაუადვილებს ინტერაქტივის საშუალებით საკითხის/თემის მიტანას მოსწავლემდე, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა გაიაზროს, დასკვნები გამოიტანოს, ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძინოს. მასწავლებელს თავადაც შეუძლია მოიძიოს და, სურვილისამებრ, შეარჩიოს მუსიკალური მასალა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ელექტრონული რესურსი განთავსებულია ელექტრონულ საქაღალდეში (ე.წ. ფოლდერში), რომლის ნუმერაცია შეესატყვისება კონკრეტული აქტივობის ნომერს, რაც მასწავლებელს გაუადვილებს რესურსის მოძებნას.

კომპიუტერული პროგრამა LMMS – აღნიშნული რესურსის გამოყენება ამგვარად წარმოგვიდგენია: მასწავლებელი პერსონალური კომპიუტერიდან გადაუგზავნის მოზარდებს პირად ბუკებში სხვადასხვა ხმის ეფექტებს, რასაც მოსწავლეები გახსნიან და მოისმენენ, გარკვეულ ინსტრუქციებს შეასრულებენ, უპასუხებენ დასმულ კითხვებს. მოსწავლეებს თავადაც შეუძლიათ მოიძიონ/შექმნან ე.წ. „ხმა-სემპლები“, გააფორმონ რიტმულად, შექმნან მუსიკალური კოლაჟი, ბოლოს კი წარადგინონ იგი.

3. **მასწავლებლის წიგნი** – წინამდებარე დამხმარე სარეკომენდაციო წიგნზე მუშაობისას ვეყრდნობოდით მესამე თაობის ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას, შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაციები, კომენტარები და ზოგადად, მასწავლებლის წიგნის მთლიანი შინაარსი შესაბამისობაშია ამ ახალ დოკუმენტთან.

III – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპლექსურ დავალებას. ეს არის უწყვეტი პროცესი პირველი კომპლექსური დავალებიდან მეორემდე, მეორედან მესამემდე და ა.შ. ჩვენი მიზანია, შევეცადოთ, ეს ჯაჭვი იყოს თანმიმდევრული და უწყვეტი.

კომპლექსური დავალება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს ეფუძნება: ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისაკენ. მას წინარე ცოდნა უდევს საფუძვლად და სხვადასხვა აკადემიური მზაობის მქონე მოსწალვის სასწავლო პროცესში ჩართვის საშუალებას იძლევა. ამასთან, მნიშვნელოვანია, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელმა გამოიყენოს მრავალფეროვანი მიდგომა და სტრატეგია, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

კომპლექსურ დავალებაში იგულისხმება პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც ადასტურებს თავის ცოდნას შესასწავლი/განსახილველი საკითხის მიმართ.

კომპლექსური დავალების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

ა) კომპლექსური დავალება არის უფრო საკლასო სამუშაო, ვიდრე საშინაო დავალება. იგი სრულებითაც არ ასოცირდება სახლში შესასრულებელ დავალებასთან. რეალურად, ეს უნდა გახდეს საკლასო სივრცეში შესასრულებელი დავალება, სადაც მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ. ბუნებრივია, დავალების გარკვეულ ნაწილს სახლშიც ასრულებს მოსწავლე, ამგვარად მშობელიც ინფორმირებულია, თუმცა მისი მხრიდან მხოლოდ მორალური მხარდაჭერაა საკმარისი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა იყოს გადატანილი გაკვეთილზე; ეს არის ერთგვარი შესაძლებლობა – განსახორციელებელი საკლასო სივრცეში;

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მუშაობს კომპლექსურ დავალებაზე, ეხმარება მათ. ის თითოეული მოსწავლის ერთი გუნდის წევრია. შესაბამისად, ამ დავალების შესრულებას/განხორციელებას დაეთმობა 4-5 გაკვეთილი (ეს დამოკიდებულია კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე). დავალების მიცემით მასწავლებელს ეხსნება ერთგვარი ფანჯარა მოსწავლესთან კომუნიკაციისთვის, სწორედ ამგვარი ფანჯრის ფარგლებში იქნებიან ინტერაქციაში მასწავლებელი და მოსწავლე;

გ) კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში უმთავრესია მოსწავლის მსჯელობა და არა – პროდუქტი. ბუნებრივია, პროდუქტი (მაკეტი, კოგნიტური სქემა, თხზულება და ა.შ.) კომპლექსური დავალების განუყოფელი ნაწილია, თუმცა ეს არის უფრო საშუალება იმისათვის, რომ ბავშვმა იმსჯელოს, „გაასიტყვოს“ ნამუშევარი. კომპლექსური დავალება არის ბავშვის „ალაპარაკების“, მისი გამოცდილების „შემოყვანის“, სასწავლო პროცესში ინტეგრირების ეფექტური საშუალება. ცხადია, მხოლოდ პროდუქტი არაფრის მომცემი იქნება (მით უფრო, თუკი იგი მშობლის დახმარებით იქნება შექმნილი). ის ერთგვარად ეხმარება მოსწავლეს ფიქრის, ძიებისა და აზროვნების პროცესში.

სახელმძღვანელოში განთავსებული თითოეული განსახილველი საკითხი, ჩვენ მიერ შემოთავაზებული აქტივობები, შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების მო-

სამზადებელ ეტაპებს წარმოადგენს. ახალი საკითხის შესწავლის დაწყებისთანავე მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს შესასრულებელი კომპლექსური დავალების პირობას. თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით და აგრეთვე, მოსწავლეების კომპლექსურ დავალებაზე დასაფიქრებლად, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე მარტივ აქტივობას, პრინციპით – მარტივიდან რთულისაკენ; წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დაეხმარება.

ამგვარი მიდგომით ის უხსნის პატარებს, თუ რის გაკეთებას შეძლებენ საკითხის შესწავლის დასრულებისას.

საგნობრივი სტანდარტი

მუსიკა დაწყებით საფეხურზე
შესავალი

დაწყებით საფეხურზე მოსწავლე შეისწავლის მუსიკის ენის ელემენტებს; მის გამომსახველობით საშუალებებს.

სტანდარტში **შედეგებისა** და **სამიზნე ცნებების** სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები.**

შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხების და ქვეცნებების სახით. ამ შინაარსებზე დაყრდნობით ყალიბდება შუალედური მიზნები. სტანდარტში სავალდებულოდ განსაზღვრულია თემები, ცნება და ქვეცნებები, ხოლო ქვეთემებსა და საკითხებს სკოლები თავად აკონკრეტებენ. თითოეულ თემას ახლავს **შედეგების მიღწევის ინდიკატორები**, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში.

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მუს.დაწყ.1.**:

„მუს.“ – მიუთითებს მუსიკის საგანს;

„დაწყ.“ – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტი დაწყებით საფეხურზე (I-VI **კლასები**)		
შედეგის ინდექსი	**სტანდარტის შედეგები** მოსწავლემ უნდა შეძლოს:	**სამიზნე ცნება**
მუს. დაწყ.1.	ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;	**მუსიკა**
მუს. დაწყ.2.	ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) საშუალებით გარესამყაროზე საკუთარი წარმოდგენების ჩამოყალიბება/განვითარება;	
მუს. დაწყ.3.	გარესამყაროს ამსახველი ხმოვანი გზავნილის ჩასაწერად სხვადასხვა სიმბოლოების გამოყენება მუსიკის, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო ენის, გასააზრებლად;	
მუს. დაწყ.4.	მუსიკალური ენის ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლზე მსჯელობა მხატვრული სახის (მაგ. პერსონაჟის, პეიზაჟის) შექმნაში გარესამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატად;	
მუს. დაწყ.5.	მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა მუსიკით რაიმე მოვლენის აღსაწერად ან ამბის გადმოსაცემად;	
მუს. დაწყ.6.	მუსიკალური ელემენტების (მაგ, ფორმის) გამოყენება იდეის განვითარების გადმოსაცემად და გასააზრებლად.	

სამიზნე ცნება და ქვეცნებები

ცნება	ქვეცნებები
მუსიკა	**ბგერა** • ბგერის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო) • ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები) • ბგერი სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი) • ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო) • სინთეზური ბგერა (ელექტრონული ბგერა)
	რიტმი (მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო) **ტემპი** (ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი) **მეტრი** (ძლიერი და სუსტი დრო)
	მელოდია • მელოდიის სახეობა (მღერადი, არამღერადი, აღმავალი, დაღმავალი, მელოდია ნახტომებით) • **მელოდიის ხასიათი** (იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.) • **მელოდიაში ინტონაციები** (ხმაბაძვითი ინტონაცია)
	ჰარმონია • კეთილხმოვანი (სასიამოვნო) ჰარმონია; არაკეთილხმოვანი (არასასიამოვნო) ჰარმონია; მაჟორი; მინორი; ქრომატიზმი • **ინტერვალი** (დიდი დაშორების ინტერვალი, საშუალო დაშორების ინტერვალი, პატარა დაშორების ინტერვალი)
	ფორმა • ფორმის სტრუქტურული ერთეულები (დასაწყისი, შუა ნაწილი, კულმინაცია, დასასრული); • კომპოზიცია
	ჟანრი • ბალეტი • ოპერა • მიუზიკლი • კინომუსიკა • თეატრალური მუსიკა

სავალდებულო თემები I-IV კლასებისთვის:

კლასი	**თემა**
I კლასი	სამყაროს ხმები მუსიკაში
	ყოფითი საგნები მუსიკაში
	თამაშები მუსიკაში
II კლასი	ცხოველები მუსიკაში
	ბუნების მოვლენები მუსიკაში
	წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ
III კლასი	ქალაქის/სოფლის ხმები
	მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში
	ჩემი ცხოვრების ერთი დღე
IV კლასი	მუსიკა და ტელევიზია
	მუსიკა და თავისუფალი დრო
	მუსიკა ანიმაციასა და საყმაწვილო კინოში

საკითხები:

თემის ფარგლებში ცნების დასამუშავებლად შერჩეულ უნდა იქნას საკითხი, რომელიც უკავშირდება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კატეგორიას:

- მუსიკით აღწერა;
- მუსიკით თხრობა;
- მუსიკით ემოციის გადმოცემა;
- მუსიკით განწყობის შექმნა.

IV კლასი

თემა – მუსიკა და ტელევიზია

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით:

მუსიკა – მოსწავლემ უნდა შეძლოს.

- მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმი, მელოდია, ჰარმონია) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა ტელეგადაცემა (გასართობის, ინფორმაციული, სამეცნიერო პოპულარული და ა.შ.) ფორმდება და ტელეგადაცემების ემოციური მუხტი და აგებულება (დაძაბული რეპორტაჟი, რელაქსაციური ხასიათის სატელევიზიო ნარკვევი და ა.შ.) გამოიხატება.

თემა – მუსიკა და თავისუფალი დრო

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით:

მუსიკა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმი, მელოდია, ჰარმონია) გამოყენება თავისუფალი, დროსთან დაკავშირებული ემოციების აღსაწერად.

თემა – მუსიკის როლი ანიმაციასა და საყმაწვილო კინოში

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით:

მუსიკა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმი, მელოდია, ჰარმონია) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც ანიმაციური და საყმაწვილო კინოს პერსონაჟების თვისებები გადმოიცემა;
- მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმი, მელოდია, ჰარმონია) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც ანიმაციურ თუ საყმაწვილო კინოში შინაარსი, განწყობა გადმოიცემა.

IV – მდგრადი განვითარება

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია პრიორიტეტული თემები, მათ შორის ერთ-ერთია გარემოს დაცვა, რომლის მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების დონის ამაღლება ისევე წარმოადგენს სკოლებისა და მასწავლებლების ვალდებულებას, როგორც სწავლა-სწავლების საგნობრივ შედეგებზე მუშაობა.

ვფიქრობთ, ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე უნდა ვასწავლოთ გარე სამყაროსადმი სწორი დამოკიდებულება. სწორედ ამიტომ, სწავლების პირველ საფეხურზე ჩვენ მიერ დაგეგმილ მუსიკის გაკვეთლებზე არაერთხელ შევეხებით ცხოვლთა სამყაროს, ბუნებას (ტყე, მდინარე, ზღვა), მუსიკით გახმოვანებულ წელიწადის დროს. ეს მოსწავლეს საშუალებას მისცემს, რეალური ცხოვრების მაგალითებზე დაყრდნობით დაინახოს ნასწავლის მნიშვნელობა და მისი რეალიზების არეალი; ასევე სასწავლო გარემოშივე გამოამჟღავნოს ღირებულებები და დამოკიდებულებები, გამოიყენოს მიღებული ცოდნა და უნარები.

ზოგადად, ხელოვნებაში ბუნება აღტაცების, შთაგონების, აღწერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ხელოვანები თავიანთ ქმნილებებში გამოხატავენ ბუნებისადმი განწყობა-დამოკიდებულებებს. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესში მოზარდებს უნდა დავეხმაროთ ბუნების სილამაზისა და მისი მნიშვნელოვნების დანახვაში; ბავშვმა ადრეული ასაკიდან უნდა გააცნობიეროს, თუ როგორი აუცილებელია ეკოლოგიაზე ზრუნვა, გარემოს გაფრთხილება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების პრინციპები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერებისა და ტოლერანტობის გრძნობის განვითარებას. მუსიკის გაკვეთილებისთვის ჩვენ მიერ დაგეგმილი და შემოთავაზებული სასწავლო აქტივობები გამჭოლადაა ინტეგრირებული მდგრადი განვითარების ისეთ თემებთან, როგორებიცაა: ბიომრავალფეროვნების დაცვა (რა ვიცი ხეების შესახებ? რა ვიცი ტყის შესახებ?), ნარჩენების მართვა (რა ზიანს აყენებს ნარჩენები ადამიანსა და გარემოს?), კლიმატის ცვლილება (რა არის ამინდი?) და სხვა.

V – როგორ მოვახდენთ ცოდნის კონსტრუირებას (აგებას)

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მასწავლებლებს ვთავაზობთ მრავალფეროვანი მეთოდებით დაგეგმილ გაკვეთილებს, აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს ცოდნის აგებაში, კონსტრუირებაში შეუწყობს ხელს.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, მოსწავლე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. იგი ცოდნას აგებს მასწავლებლის მიერ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე, შესაბამისად, კონსტრუქტივისტული გაკვეთილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს, თავად ააგოს ცოდნა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეძლოს ამ ცოდნის გაანალიზება – ეს ყოველივე ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში **ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვებით მიიღწევა**

– თითქმის ყველა აქტივობის მიმდინარეობის დროს/ბოლოს მასწავლებელს ვთავაზობთ შეკითხვებს, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს საკითხის გააზრებასა და საკუთარი დასკვნების გამოტანაში; ხოლო მასწავლებელი, თავის მხრივ, გაარკვევს, თუ რამდენად აითვისა, გაიგო ბავშვმა გადაცემული ცოდნა/ინფორმაცია.

სასურველია, მასწავლებელი გათავისუფლდეს რუტინისაგან და გამოიყენოს ისეთი სასწავლო მეთოდები, როგორებიცაა:

ვერბალური ინფორმაცია	**სწავლების ვიზუალიზაცია**	**დისკუსია**	**ბეჭდვითი/ ელექტრონული ღონისძიებები**
Storytelling; Case Study; როლების მიხედვით თამაში; სავარჯიშოების დროს ლექსების, სიმღერების გამოყენება; პრეზენტაცია/წარდგენა.	სურათები; თვალსაჩინო მასალა; ილუსტრაციები; ვიდეოფირები.	კითხვა-პასუხი; მსჯელობა; სხვისი ნააზრევის შეფასება.	პლაკატი; აფიშა; მუსიკალური კომპოზიციები.

ა) Storytelling – ამბის მოყოლას ნიშნავს. ერთი მხრივ, ეს სწორედ ისაა, რაც ჩვენს ბავშვობაში სულ ხდებოდა და გვამახსოვრდებოდა. თუმცა მუსიკის გაკვეთილზე უბრალო, მარტივ ამბებზე კი არა, ისეთ ამბებზე უნდა ვისაუბროთ ბავშვთან, რომელიც მას განუვითარებს თვითგამოხატვის – თავისი დამოკიდებულებების, ემოციის ახსნის; ინტერპრეტაციის – წარმოსახვის, აბსტრაქტული აზროვნების, ძველსა და ახალს შორის კავშირის დამყარების, უნარებს; გაამდიდრებს მის ლექსიკას არა მხოლოდ მუსიკალური ცნებების გამოყენებით. Storytelling – ის საშუალებით მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ მუსიკალური ფრაგმენტების დახმარებით აღწერონ ის, რაც სიტყვით არის გადმოცემული. ამ მიზნით, მასწავლებელი შესთავაზებს პატარა მსმენელებს მუსიკალურ ფრაგმენტებს, ხოლო მოსწავლეები მუსიკის ელემენტების მიხედვით დაადგენენ შესაბამისობას ამ ფრაგმენტების სიტყვიერ ტექსტთან;

ბ) Case Study – ერთგვარი სიტუაციური ანალიზია, სიტუაციაში კი იკვეთება პრობლემა, რომელიც მოითხოვს გადაჭრას ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების გზით. თუმცა მუსიკაში პრობლემას მოვიაზრებთ მხატვრული ამოცანის კონტექსტში. მხატვრული ამოცანა კი მდგომარეობს იმაში, რომ მუსიკა გამოვიყენოთ, როგორც საკომუნიკაციო საშუალება, უფრო ზუსტად, მსმენელმა გადმოსცეს მუსიკის მოსმენით მიღებული ემოციები, ასოციაციები, საკუთარი დამოკიდებულება მოსმენილთან მიმართებით. ამ და სხვა უნარებს კი მოსწავლე გამოავლენს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის, შემდეგ კი წარდგენის (გასიტყვების) დროს, ვინაიდან კომპლექსური დავალება სწორედაც პრობლემაზე (მუსიკის შემთხვევაში მხატვრული ამოცანის განხორციელებაზე) არის ორიენტირებული.

VI – რა შემთხვევაში მიიჩნევა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები მიღწეულად?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში გვეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: **პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებითსა და აბსტრაქტულ** დონეებს.

თითოეული მათგანი წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს/სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. პირველ სამ დონეზე სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხების გააზრების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. ცნების დაუფლება/შედეგის მიღწევა იგივდება **მიმართებით და აბსტრაქტულ** დონეებთან.

პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია: • სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება და გაანალიზება; • სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონტექსტუალიზება (საგნის სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირება); • მიმართებითი დონეზე საკითხის/სამიზნე ცნების გააზრება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაღვრული შედეგის მიღწევას. თუმცა შესაძლებელია მოსწავლე უფრო შორსაც წავიდეს, ანუ იმ განზოგადებებისკენ, რომელიც აბსტრაქტული დონისთვისაა განსაზღვრული.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ცოდნისა და გამოცდილების ეროვნული სასწავლო გეგმის **ზესაგნობრივ** (**მაკრო**) **ცნებებთან**.

VII – კომპლექსური დავალებები, აქტივობები, რეკომენდაციები

I თავი

სამიზნე ცოდნის აღწერა

თემა	**მუსიკა და ტელევიზია** (დაეთმობა, დაახლოებით, 22 საათი)
საკითხი	მუსიკით განწყობის გადმოცემა
ქვეცნებები	**ბგერა** – ბგერის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო); სინთეზური ბგერა (ელექტრონული ბგერა); **რიტმი** – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო); **ტემპი** – ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი ;**მეტრი** – ძლიერი და სუსტი დრო; **მელოდიის ხასიათი** – იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.); **მელოდიაში ინტონაციები** – ხმაბაძვითი ინტონაცია.
სამიზნე ცნება	**მუსიკა**

თემა	**კომპლექსური დავალებების აღწერა**
I თემა **მუსიკა და ტელევიზია**	№ 1.მუსიკით განწყობის გადმოცემის მიზნით, მოსმენილი ფრაგმენტების მიხედვით ვიდეორგოლისათვის მუსიკალური თანხლების შერჩევა; ცხრილის შევსება და წარდგენა; **საკითხი** – მუსიკით განწყობის გადმოცემა.
II თემა **მუსიკა და თავისუფალი დრო**	№2.მუსიკით განწყობის გადმოცემის მიზნით, მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების მიხედვით მუსიკალური განრიგის შედგენა; ცხრილის შევსება და მისი წარდგენა; **საკითხი** - მუსიკით განწყობის გადმოცემა.
III თემა **მუსიკის როლი ანიმაციაში და საყმაწვილო კინოში**	№3. ეპიზოდისთვის ანიმაციური ფილმიდან მოცემული მუსიკალური ფრაგმენტებისა და ხმის ეფექტების დახმარებით ფირის შერჩევა. ცხრილის შევსება და წარდგენა; **საკითხი** – მუსიკით თხრობა/მუსიკით ამბის მოყოლა და განწყობის შექმნა; №4. პოსტერების ხასიათის მიხედვით საყმაწვილო ფილმების ჟანრის დადგენა; შერჩეული პოსტერის შესატყვისი საუნდტრეკის გახმოვანების ხერხების (ეპიზოდის განწყობა, პერსონაჟის განცდა, ეკრანზე გათამაშებული მოქმედება) გასაზღვრა; ცხრილების შევსება და წარდგენა. **საკითხი** : მუსიკით განწყობის შექმნა, მოვლენებისა და პერსონაჟების აღწერა.

კომპლექსური დავალება №1 (აქტივობა 18-22)

(აღნიშნული დავალების შესრულებისა და წარდგენისათვის გამოიყოს 4-5 საგაკვეთილო საათი)

კომპლექსური დავალების პირობა	**გრძელვადიანი მიზნები**
საკითხი: მუსიკით განწყობის გადმოცემა **პირობა**: შეუსაბამეთ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ სამ ვიდეორგოლს მუსიკალური თანხლება. შეარჩიეთ მათგან ერთი და შეავსეთ ცხრილი. **პრეზენტაციის დროს წარმოაჩინეთ**: • როგორ არის შესაძლებელი ტელექუდისთვის ხმის ეფექტების შერჩევა? • როგორ არის შესაძლებელი ტელექუდისთვის მუსიკალური თანხლების შერჩევა? • როგორ უნდა შევურჩიოთ ვიდეოქუდის მიხედვით ტელეგადაცემას სახელწოდება? **დამხმარე რესუსი**: ცხრილი; სამი ვიდეორგოლი და ექვსი მოსასმენი მუსიკალური ფრაგმენტი (სამიდან შეარჩევენ ერთ-ერთ ვიდეორგოლს და იმუშავებენ ცხრილზე).	**სამიზნე ცნება:** მუსიკა **შედეგი**: მუს. 4,5. **ქვეცნებები:** **ბგერა** – ბგერის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო); სინთეზური ბგერა (ელექტრონული ბგერა); **რიტმი** – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო); **ტემპი** (ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი); **მეტრი** (ძლიერი და სუსტი დრო); **მელოდიის ხასიათი** (იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.); **მელოდიაში ინტონაციები** (ხმაბაძვითი ინტონაცია). **სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:** • მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის განწყობას, შინაარსს და იწვევს ჩვენში გარკვეულ განცდას; • ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია; • მუსიკალურ ნაწარმოებებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

შეთავაზებული სამი ვიდეორგოლისთვის მუსიკალური თანხლების შერჩევა. მუშაობა ცხრილზე:

შესავსები ცხრილი:

გადაცემის სახელწოდება ----------		
მუსიკალური	**რა განწყობაა და როგორ, რა ხერხებით არის მიღწეული ეს განწყობა**	**დამაკავშირებელი მახასიათებლები**
ფრაგმენტი №		
ვიდეორგოლი №		

რას ვაფასებთ?

აღწერა	
ამოიცნობს ვიდეორგოლების შინაარსს.	
შეურჩევს /უსადაგებს ვიდეორგოლს მუსიკალურ ფრაგმენტს.	
ამოიცნობს მუსიკალური ფრაგმენტების განწყობას.	
ავსებს ცხრილს პირობის თანახმად.	
აღწერს საკუთარ ცხრილს წარდგენის დროს.	
ახსნა	
ხსნის თავის არჩევანს, თუ რატომ შეარჩია კონკრეტული ვიდეორგოლი და რატომ შეუსაბამა მუსიკალური ფრაგმენტი კონკრეტულ ფირს (არგუმენტის დროს მიზნობრივად იყენებს ტერმინებს, იყენებს სათანადო ლექსიკას).	
ხსნის, თუ რა მუსიკალური ხერხებით მიიღწევა ესა თუ ის განწყობა.	
ხსნის, თუ რატომ შეურჩია კონკრეტული სახელწოდება ვიდეორგოლს.	
შეფასება	
აფასებს, რამდენად გაართვა დავალებას თავი.	
აფასებს, როგორ არის შესაძლებელი ვიდეორგოლისთვის მუსიკალური თანხლების შერჩევა.	
წარდგენის დროს გადმოსცემს თავის დამოკიდულებებს.	

კომენტარი:

ჩვენ მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალების ორგანიზებისთვის მასწავლებელს ვთავაზობთ შემდეგი ეტაპების განხორციელებას: უჩვენებს კლასს სამ ვიდეორგოლს ხმის გარეშე. მოკლედ მიმოიხილავენ, თუ რას შეეხება თითოეული რგოლი (პირველ რგოლში მინიატურული სამზარეულოა წარმოდგენილი, სადაც ძალიან პატარა ზომის ჭურჭელია გამოყენებული და ამ ჭურჭელში მზადდება კერძები – ეს, ერთგვარად, საინტერესო და, იმავდროულად, სახალისო პროცესია, თუმცა მასწავლებელმა ფრთხილად შეიტანოს თემა, რათა მოსწავლეებმა გაითვალისწინონ, რომ მსგავსი რამ სახლის პირობებში მშობლების გარეშე არ უნდა გააკეთონ; მეორე რგოლი ცხოველთა სამყაროს წარმოადგენს – მშობლები და შვილები – ძუ ლომს ისევე უყვარს თავისი ლეკვი, როგორც ადამიანს – შვილი... მესამე რგოლს ყვავილების სამყაროში გადავყავართ – ულამაზესი ყვავილები, მდელოები!) – ვფიქრობთ, ამგვარი მცირე განხილვით ერთგვარად დავეხმარებით მოსწავლეებს დამოუკიდებლად „გაუმკლავდნენ“ კომპლექსური დავალების შესრულებას – ინდივიდუალურად შერჩეული ვიდეორგოლებისთვის სახელწოდების მიცემა; რგოლის განწყობის ამოცნობა და ამ განწყობის შემქმნელი დეტალების წარმოჩენა (მაგ., მინიატურული სამზარეულოს ხალისიან განწყობას ქმნის ასეთი პატარა ჭურჭელში კერძის გამზადება, პატარა მაცივარი, პატარა ხორცის საკეპი ხის დაფა..); შესატყვისი მუსიკალური ფრაგმენტის შერჩევა – რგოლის გახმოვანება; მუსიკალური ფრაგმენტის მახასიათებელი, რითაც ხალისიანი ვიდეორგოლი უფრო მეტად სახალისო გახდება; მნიშვნელოვანია ვიდეორგოლსა და შერჩეულ მუსიკალურ ფირს შორის **დამაკავშირებელი მახასიათებლების** წარმოჩენაც – სწორედაც ვიდეორგოლის საინტერესო სიუჟეტი, მასში დანახული ხალისიანი განწყობა და ამ განწყობის შესატყვისი მუსიკალური გაფორმება აკავშირებს რგოლსა და მუსიკას.

ვიდეორგოლს აქვს გამომსახველობით ხერხები, მაგალითად, რიტმი, რომელიც კადრების მონაცვლეობით მიიღწევა. ამის გასააზრებლად, მასწავლებელი დასვავს ამგვარ კითხვებს:

- რამდენად სწრაფად იცვლება გამოსახულება ეკრანზე?

ა) ვიდეორგოლის კადრი ხანგრძლივია და უცვლელი; ბ) კადრები სწარფად მონაცვლეობს.

- როგორი მოძრაობებია ეკრანზე?

ა) სწრაფი; ბ) ნელი; გ) საერთოდ უძრავია.

- ეს მოძრაობა მელოდიაში ჩანს? აღწერეთ მელოდია:

ა) ეს არის გაშლილი, ფართო სუნთქვის მქონე მელოდია;

ბ) მელოდია დინამიურია, ახასიათებს ნახტომებით მოძრაობა.

- როგორია ვიდეორგოლში გამოსახულების ფერი, ნათელი თუ მუქი, პირქუში?
- ნათელი ფერების მქონე გამოსახულებებს როგორი ჰარმონია შეესაბამება:

ა) მწყობრი, სასიამოვნო, კეთილხმოვანი ჰარმონია;

ბ) არამწყობრი, უცნაური, არაკეთილხმოვანი ჰარმონია.

წარდგენის („გასიტყვების“) პროცესში მოსწავლემ აუცილებლად უნდა იმსჯელოს, თუ რატომ, რა მახასიათებლის გამო შეურჩია ექვსი მუსიკალური ფირიდან ის ერთი – ისაუბროს რიტმზე, მელოდიაზე, მუსიკალურ საკრავებზე, მუსიკის განწყობაზე.

პრაქტიკული რჩევები – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები
I ეტაპი (კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა)

	რა აქტივობებს განვახორციელებთ	**რა კითხვებზე ვმუშაობთ?**	**რა კავშირშია კომპლექსურ დავალებასთან?**
I ეტაპი კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა	**მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, აგრეთვე ცხრილის წარდგენა:** თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით და აგრეთვე იმისათვის, რომ დავაფიქროთ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე მარტივ აქტივობას. მაგალითად, საწყის ეტაპზე მასწავლებელი გაესაუბრება კლასს, არკვევს მათ საყვარელ გადაცემებს, როგორი მუსიკა ჟღერს ამ გადაცემებში; რა ფუნქცია ენიჭება მუსიკას ტელეგადაცემებში და ა.შ. ხოლო ამის შემდგომ განახორციელებს დავალებას (**იხ. აქტივობა** 1.), რასაც მომდევნო გაკვეთილებიდან (II ეტაპიდან) მოყვება თანმიმდევრული ნაბიჯები, რომლებიც შეამზადებს მოსწავლეს აღნიშნული კომპლექსური დავალების შესასრულებლად.	• რა არის ტელექუდი? • რა მიზნით არის შექმნილი ტელექუდი? • რა ფუნქცია ეკისრება ტელექუდს?	კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის – მარტივიდან რთულისაკენ – გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დახმარებას გაუწევს.

აქტივობა 1.

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 1 „სატელევიზიო მუსიკა“); ნაცნობი ტელეგადაცემების („ჟირაფი ჟოზე“; „ეკივოკი“; „ტელეღიპუცები“) მუსიკალური ქუდები.

ა) მოსწავლეები სამუშაო რვეულში ათვალიერებენ სხვადასხვა ნაცნობი ტელეგადაცემის („ბასტი-ბუბუ“; „ეკი-ვოკი“, „ტელეღიპუცები“; „ბაბილინას ზღაპრები“; “ჟირაფი ჟოზე”) ლოგოებს. ვფიქრობთ, მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ მათი ამოცნობა, აგრეთვე მსჯელობა ამ გადაცემების განწყობასა და შინაარსზე;

ბ) მასწავლებელი ასმენინებს კლასს ამ გადაცემების მუსიკალურ ქუდებს, ხოლო ბავშვებმა გაჟღერებული ფირის ნომერი უნდა ჩაწერონ **რგოლში**. გარდა ამისა, გაიხსენონ/გამოიცნონ რა ტიპის გადაცემაა: სპორტული, გასართობი თუ საინფორმაციო?



სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი ტელეგადაცემის მუსიკალური ქუდი ამოიცანით?
- რაზეა ეს გადაცემა?
- თქვენი აზრით, რა როლს ასრულებს მუსიკა სატელევიზიო გადაცემაში?
- როგორ მოქმედებს მაყურებელზე ტელეგადაცემების მუსიკა, როგორ განწყობას უქმნის მას?
- წარმოიდგინეთ, მუსიკალური თანხლება რომ არ ჰქონდეს გადაცემას, ასეთი საინტერესო და სახალისო იქნებოდა?
- რომელი მუსიკალური ქუდის რიტმი იყო ყველაზე მოძრავი, ენერგიული?
- რომელი მუსიკალური ქუდი მოგეჩვენათ ყველაზე მხიარული?

II ეტაპი
ნაბიჯი 1. ტელეგადაცემის განწყობისა და შინაარსის ამოცნობა გამოსახულების მიხედვით (აქტ. 1-2).
ნაბიჯი 2. ტელექუდისთვის განწყობის შესაბამისი ხმის ეფექტებისა და მუსიკალური თანხლების შერჩევა (აქტ. 3-5).
ნაბიჯი 3. ტელეგადაცემის ქუდის მუსიკალური ფრაზის/მოტივის ამოცნობა (6-7);
ნაბიჯი 4. ტელეანონსისთვის მუსიკის შერჩევა (აქტ. 8-17).
ნაბიჯი 5. კომპლექსური დავალების შესრულება-წარდგენა (აქტ. 18-22).

აქტივობა 2.

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 2 „მუსიკალური ქუდი“); მუსიკალური ქუდების აუდიოფირები.

I. მასწავლებელი აგრძელებს საუბარს ტელეგადაცემებზე. სთხოვს კლასს, დააკვირდნენ სამუშაო რვეულში განთავსებულ ლოგოებს. არკვევს, რომელი ლოგო რომელ ტელეგადაცემას შეესაბამება? რას დაარქმევდნენ მოსწავლეები ამ ტელეგადაცემას? დიდ რგოლებში ბავშვები ჩაწერენ საკუთარ ვერსიებს:



კომენტარი:

ვფიქრობთ, მოსწავლეებს ჩვენ მიერ წარმოდგენილი ლოგოების სატელევიზიო გადაცემასთან დაკავშირება და მათთვის სახელწოდების მოფიქრება არ გაუძნელდებათ. აღნიშნული აქტივობის მიზანი სულაც არ არის მოსწავლეთა მხრიდან ზუსტი პასუხების გაცემა. მთავარია, ისინი დაფიქრდნენ, ივარაუდონ, იმსჯელონ, დაასაბუთონ, რის შემდეგაც პატარებს მოუწევთ ამ ლოგოებისთვის მუსიკალური ქუდების შერჩევა.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- პირველი ლოგო რომელ სატელევიზიო გადაცემას შეუსაბამეთ – საცხენოსნო სპორტულ გადაცემას? მუსიკალურ კონკურსს? საბავშვო გასართობ გადაცემას? სანაოსნო სპორტულ გადაცემას?
- მეორე ლოგო რაზე მიუთითებს? რა დაარქვით ამ გადაცემას?
- ყველა გადაცემას აქვს თავისი ხასიათი, მაგალითად, გასართობი გადაცემები მხიარულია და ხშირად სახუმაროც, შესაბამისად, მისი მუსიკალური შესავალიც, ანუ როგორც ვუწოდებთ, **„მუსიკალური ქუდი“,** ასეთივე მხიარულია. ივარაუდეთ, როგორი მუსიკალური ქუდი შეიძლება მივუსადაგოთ აქ წარმოდგენილ სატელევიზიო გადაცემებს:

ა) ენერგიული რიტმით თუ მშვიდი რიტმით?

ბ) მელოდიის მოძრაობა მდორე, საფეხურებრივი იქნებოდა თუ ნახტომისებური?

გ) მუსიკალურ ქუდს ელექტრონული ბგერები მოუხდებოდა თუ ბუნებრივი (აკუსტიკური)?

II. მასწავლებელი ასმენინებს კლასს ფრაგმენტებს. მოსწავლეები შეეცადონ და შეურჩიონ ტელეგადაცემებს **მუსიკალური ქუდები.** გაჟღერებული ფირის ნომერი ჩაწერონ შესაბამის პატარა რგოლში.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეუსაბამეთ საცხენოსნო სპორტის მოყვარულთათვის განკუთვნილ სატელევიზიო გადაცემის მუსიკალურ ქუდს?
- რა ნიშნით, მუსიკის რომელი გამომსახველი საშუალების (მელოდია, რიტმი, ტემპი) მიხედვით, შეარჩიეთ ეს ფრაგმენტი?
- რომელი მუსიკალური ქუდი მოგეჩვენათ ყველაზე მხიარულად?
- რომელ ლოგოს დაუკავშირეთ მხიარული მუსიკა?
- თქვენი აზრით, ეს სატელევიზიო გადაცემა რას შეეხება?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში გაისმა ვოკალი (ადამიანის ხმა)?
- ვოკალი ტექსტს ასრულებდა თუ ტექსტის გარეშე ჟღერდა?
- როგორი რეგისტრის ბგერებს ასრულებდა ვოკალი, მაღალი თუ დაბალი?

აქტივობა 3.

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 3 „ხმის ეფექტები“); სატელევიზიო გადაცემების ქუდები.

მასწავლებელი ესაუბრება კლასს ამა თუ იმ გადაცემის შექმნაში მონაწილე ე.წ. ხმის მხატვრების, ანუ **ხმის რეჟისორების.** პროფესიაზე. ისინი თითოეულ მოძრაობას ახმოვანებენ. ასეთ დროს იქმნება ისეთი ხმები ე.წ. **ხმის ეფექტები,** როგორებიცაა, მაგალთად, სიცილი, ტაში, ხმაური და სხვა.

მასწ. – თქვენ მიერ მოსმენილ სატელევიზიო გადაცემების მუსიკალურ ქუდებში სხვადასხვა სახის ხმის ეფექტი ჟღერდა.

ასმენინებს წინა აქტივობის დროს მოსმენილ მუსიკალურ ქუდებს. სამუშაო რვეულში მოსწავლეებმა მწვანე ფერის ფანქრით გააფერადონ იმ სატელევიზიო გადაცემის ლოგოს შესატყვისი რგოლი, სადაც ელექტრონული ბგერები და ბავშვების მხიარული შეძახილები გაჟღერდება, წითელი ფერის ფაქნრით ის რგოლი, სადაც გაჟღერდება სიცილი და ჩიტების ჭიკჭიკი. ლურჯი ფერის ფანქრით კი გააფერადონ რგოლი, რომლის შესაბამისი ლოგოს მუსიკალური ქუდი ჯერ იწყება ელექტრონული ბგერებით, შემდეგ კი მოძრავი რიტმის ფონზე ვოკალიც (ადამიანის ხმა) გაჟღერდება.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელ მუსიკალურ ქუდში გაჟღერდა ელექტრონული ბგერები?
- რა ხასიათის გადმოცემას ემსახურება ელექტრონული ბგერებით გაჟღერებული მუსიკა?
- რომელ ტელექუდში გაჟღერდა ხმის ეფექტი, რომელიც არამუსიკალური იყო?
- ივარაუდეთ, რატომ გადაწყვიტა ხმის რეჟისორმა, რომ ამ ტელექუდში ხმის ეფექტად ბავშვების სიცილი და ჩიტების ჭიკჭიკი დაერთო?
- რამდენად მნიშვნელოვანია ხმის ეფექტები ტელექუდებში?

აქტივობა 4-5.

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 4 „სპორტული გადაცემებს ვიდეორგოლები“); ვიდეოფირები: ჭიდაობა, ავტორალი, სინქრონული ცეკვა წყალში, ციგურული სრიალი; მუსიკალური ფრაზა 1, ფრაზა 2, ფრაზა 3, ფრაზა 4.

წინა დავალებებში სხვადასხვა შინაარსის მუსიკალურ ქუდებზე ჰქონდათ საუბარი. ამჯერად მასწავლებელი სთავაზობს კლასს, შეადარონ ერთმანეთს მსგავსი შინაარსის ტელეგადაცემების მუსიკალური ქუდები. ამისათვის, დასაწყისში ეცნობიან ვიდეორგოლებს, რომლებიც ეძღვნება სპორტულ გადაცემებს.

სამუშაო რვეულში წარმოდგენილი ოთხი ვიდეორგოლი სხვადასხვა ხასიათისაა. **მასწ.** – მოდით, თითოეულს სათანადო მუსიკალური დახასიათება შევურჩიოთ, თავდაპირველად:

ა) ქვემოთ მოცემული დახასიათებები ხაზებით დაუკავშირეთ სურათებს.

ცოცხალი და ენერგიული; გამამხნევებელი; მძაფრი და შეტევითი;
მშვიდი და ოდნავ სევდიანიც კი.



ბ) მასწავლებელი უჩვენებს ვიდეოფირებს ხმის გარეშე. ბავშვებმა უნდა იმსჯელონ, თუ როგორი მუსიკით გააფორმებდნენ ამ ვიდეორგოლებს.

კომენტარი:

მასწავლებელი ხმის გარეშე უჩვენებს კლასს ოთხ ვიდეორგოლს (ფირები: ჭიდაობა, ავტორალი, სინქრონული ცეკვა წყალში, ციგურებით სრიალი). იმსჯელებენ, თუ სპორტის რომელი სახეობის ფირებია წარმოდგენილი; იცნობენ თუ არა ამ სახეობას (საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოკლე ინფორმაციას მიაწვდის).

მართალია, სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა: ცურვა, ცხენოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, კრივი და სხვა სრულებით არ საჭიროებს მუსიკის თანხლებას, მაგრამ გავიხსენოთ ქართული ჭიდაობა... ვისაც სოფლად ეს ვაჟკაცური სპორტი უნახავს, დაგვეთანხმება, რომ ფალავანთა ჭიდაობით გამოწვეული აღტაცება ერთიორად ძლიერდება, როდესაც მას ახლავს ზურნებსა და დოლზე შესრულებული საჭიდაო. მუსიკალური აკომპანიმენტი ქართული ჭიდაობის განუყოფელი ნაწილია. ამასთან, მოჭიდავის მოძრაობები: მკლავშემართული მისვლა, მიხრა-მოხრა, ორთაბრძოლის ტემპი ზუსტ თანხვედრაშია მუსიკის რიტმთან და ამიტომ ჭიდაობა ცეკვას ემსგავსება; სპეციალურად შერჩეული მუსიკის გარეშე წარმოუდგენელი იქნება ფიგურული სრიალი, მხატვრული ტანვარჯიში, სინქრონული ცეკვა წყალში. აქ მუსიკას დამხმარე ფუნქცია აკისრია, სპორტული შეჯიბრებების დროს ჟიურის მიერ მათი შეფასებისას მხედველობაში მიიღება მოასპარეზეთა მოძრაობის შესატყვისობა მუსიკის მელოდიასა და რიტმთან, ტემპის აჩქარება-შენელებასთან.

გ) მასწავლებელი განმეორებით უჩვენებს ვიდეორგოლებს, სადაც ხმა იქნება ჩართული. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, რამდენად გამართლდა მათი ვარაუდი.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- დაემთხვა თუ არა რომელიმე ვიდეორგოლის ჩვენებური გახმოვანება თქვენ მიერ გახმოვანებულს? რომელი?
- როგორი მუსიკა ერთვოდა ავტორბოლას?
- რომელი დახასიათება შეუსაბამეთ ამ ვიდეორგოლს – (ცოცხალი და ენერგიული; გამამხნევებელი; მძაფრი და შეტევითი; მშვიდი და ოდნავ სევდიანიც).
- როგორი ბგერები ჟღერდა ამ მუსიკალურ ქუდში, ელექტრონული თუ ბუნებრივი (აკუსტიკური)?
- თქვენი აზრით, მაყურებელს როგორ ხასიათის სატელევზიო გადაცემას სთავაზობს ეს ვიდეორგოლი?

ა) დაძაბული ხასიათის;

ბ) დამამშვიდებელი ხასიათის სატელევიზიო გადაცემას.

- რომელი მუსიკალური ქუდი იყო მძაფრი და შეტევითი? დაასახელეთ ნომერი;
- ყველაზე მკაფიოდ რომელ მუსიკალურ რგოლში ისმის დასარტყამი საკრავები?
- რომელ მუსიკალურ რგოლს ასრულებდა ვოკალი (ადამიანის ხმა)?
- რომელი მუსიკალური რგოლი მიამსგავსეთ ცეკვას – სპორტის ამ სახეობისთვის დამახასიათებელია მკლავშემართული მიხრა-მოხრა, ზომიერი მოძრაობა – თითქოს ცეკვავენო;
- რომელ მუსიკალურ ქუდში გაჟღერდა ხმოვანი ეფექტები?

აქტივობა 6.

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 5 „მუსიკალური ფრაზა და მოტივი“); ფ. ტარეგა – Gran Vals მუსიკალური ფრაზის პირველი ნაწილი და ფირები №1, №2, №3.

მასწ. – გაიხსენეთ, წინადადება რომ მივიღოთ, ასე ვიწყებთ: მარცვლები სიტყვებად ერთიანდება, სიტყვები – ფრაზებად, ხოლო ფრაზები – წინადადებებად.

მსგავსი აგებულება აქვს მელოდიასაც. მელოდია რომ მივიღოთ, ჯერ გვაქვს მოტივები, რომლებიც ფრაზებად ერთიანდება, ფრაზები – წინადადებებად, ხოლო მუსიკალური წინადადებები კი ერთ მთლიან მელოდიას ქმნის.

ხშირად ტელეგადაცემის ქუდის მუსიკალური გაფორმება ერთი მუსიკალური ფრაზისგან შედგება. **ფრაზა** მუსიკალური ნაწარმოების მცირე მონაკვეთია, მასში გადმოცემულია რაიმე დასრულებული მუსიკალური აზრი. ფრაზა თავის მხრივ, შედგება **მოტივებისგან.**

სამუშაო რვეულში წითელ რგოლში მონიშნულია მუსიკალური ფრაზის ერთი ნაწილი, რასაც მასწავლებელი გააჟღერებს, ხოლო შემდგომ კი მოასმენინებს კლასს სამ ფირს – №1, №2 და №3. ერთ-ერთი ამათგან არის წითელი რგოლის მუსიკალური ფრაზის გაგრძელება. ბავშვებმა გამოიცნონ, რომელია (დაუკავშირეთ ხაზით):



მასწავლებელი კლასს ასმენინებს მუსიკალურ ფრაზას მთლიანად და ამგვარად მოზარდები შეამოწმებენ, რამდენად სწორად დაუკავშირეს ფრაზის ერთი ნაწილი მეორეს.

კომენტარი:

შესაძლოა, მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა კიდეც ამოიცნოს ერთ-ერთი ცნობილი მობილური ტელეფონის ხმოვანი სავაჭრო ნიშანი – მუსიკალური ფრაზა სოლოგიტარის კომპოზიციიდან Gran Vals. იგი შექმნა ესპანელმა გიტარისტმა და კომპოზიტორმა **ფრანსისკო ტარეგამ.**

აქტივობა 7.

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 6 „მოტივებისგან შევადგინოთ ფრაზა“); მუსიკალური ქუდის მოტივები – მოტივი №1, მოტივი №2, მოტივი № 3, მოტივი №4.

მასწავლებელი სთავაზობს კლასს მოტივებისგან შეადგინოთნ ფრაზა? ამისათვის განუმარტავს ბავშვებს: **მოტივი** მელოდიის უმცირესი მონაკვეთია, რომელშიც გადმოცემულია ამ მელოდიისთვის დამახასიათებელი მოძრაობა.

სამუშაო რვეულში ბავშვებმა უნდა შეავსონ ცხრილი: ხაზებით დააკავშირონ ცალკეული მოტივის ღილაკები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს დასრულებული მუსიკალური ფრაზა (წარმოდგენილია სწორი ვერსია).

2	**1**	**4**	**3**



სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- პირველ სვეტში რომელი მოტივის ნომერი ჩაწერეთ? შეგიძლიათ მღერით გაიმეოროთ ეს მოტივი?
- როგორი ბგერით არის წარმოდგენილი პირველი მოტივი, ელექტრონულით თუ აკუსტიკურით?
- დაახასიათეთ პირველი მოტივი (შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი):

ა) მოტივი ოსტინატურია;

ბ) მოტივი ენერგიულია;

გ) მოტივს ენერგიულობას ანიჭებს ოსტინატური რიტმი.

- რომელი მოტივი გამეორდა?
- მერამდენე სვეტში ჩაწერეთ გამეორებული მოტივი? ახსენით, რატომ?
- თუკი შემოგთავაზებთ სქემას, რომელიც ამ ფრაზის აგებულებას გვკარნახობს, როგორ დაალაგებდით ამ მოტივებს: A B C A

კომენტარი:

წარმოდგენილი სქემის მიხედვით ძნელი ამოსაცნობი არ უნდა იყოს მოსწავლეებისთვის, რომ მეოთხე მოტივი იმეორებს პირველს, ანუ ერთი და იგივეა.

აქტივობა 8-9 (შუალედური)

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 7 „შექმენით მუსიკალური ქუდი“) პროგრამა **LMMS**; მუსიკალური ფრაგმენტი, რომელიც მოსწავლეებმა უნდა დაჭრან, გააცალკევონ ფირები და შექმნან ე.წ. „ტრეკები“ – ა. ვივალდის სავიოლინო კონცერტიდან „გაზაფხული“.

- მოსწავლეებმა შექმნან მუსიკალური ქუდი ტელეგადაცემისთვის „გაზაფხულის დილა“. ამისათვის მასწავლებელი სთავაზობს მუსიკალურ ფრაგმენტებს, ე.წ. „სემპლებს“;
- პროგრამაში Audasity – ჩაწერონ სასურველი მუსიკალური ფრაგმენტი, შემდეგ „დაჭრან“, გააცალკევონ ფირები და შექმნან ე.წ. „ტრეკები“;
- გამზადებული ხმა-Sempl-ები გადაიტანონ პროგრამაში LMMS;
- შექმნილი კომპოზიცია მოსწავლეებმა წარუდგინონ თანაკლასელებს.

აქტივობა 10-12

რესურსი: სამუშაორ ვეული (დავალება 8 „ტელეაფიშა“); მოსასმენი ფირები №1, 2, 3, 4, 5.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ აქტივობებში ბავშვებმა უნდა გაამზადონ სატელევიზიო გადაცემის, „ტელეაფიშის“ მუსიკალური ანონსი, მასწავლებელი დაფაზე წერს ორ ტერმინს - **ანონსი და აფიშა.** თავდაპირველად განუმარტავს „აფიშის“ მნიშვნელობას - ეს არის თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული განცხადება სპექტაკლის, კონცერტის ან ლექციის შესახებ. სადღეისოდ, ასეთი აფიშები ქალაქის ქუჩებში ნაკლებად გვხვდება, ვინაიდან ამგვარი განცხადებები უფრო აქტიურად ტელევიზიით კეთდება.

I. **მოსწავლეები სამუშაო რვეულში ავსებენ ცხრილს:** სატელევიზიო გადაცემის, „ტელეაფიშის“, ოთხი რუბრიკის აღწერილობას უნდა შეუსაბამონ მათი შესატყვისი მუსიკალური გაფორმება (მუსიკალური ქუდი), გაჟღერებული მუსიკალური ფირის ნომერი ჩაწერონ შესაბამის რგოლში:

სატელევიზიო გადაცემის, „ტელეაფიშის“, რუბრიკების აღწერილობა	**მუსიკალური ქუდი №**
„საკონცერტო დარბაზებში“ – ეს რუბრიკა მოგვითხრობს, თუ რა კონცერტები გველის ამ თვეში (სიმფონიური მუსიკის კონცერტი, კამერული მუსიკის კონცერტი თუ ვოკალური მუსიკის კონცერტი).	
„ჩვენი პრემიერა“[1] – გაგვაცნობს საოპერო და საბალეტო სპექტაკლების პრემიერებს.	
„ჩვენი სტუმარი“ – ამ რუბრიკაში მაყურებელი შეხვდება ცნობილ მუსიკოსებს – პიანისტს, ფლეიტისტს, მევიოლინეს ან ვოკალისტს.	
„ჩვენი ისტორია“ – ეს რუბრიკა მოგვითხრობს უახლეს კულტურულ მოვლენებზე, მაგალითად, საბავშვო მუსიკალური თეატრის დაარსებაზე ან საბავშვო კაპელას[2] შექმნის შესახებ.	

1. **პრემიერა** – პირველი წარმოდგენა თეატრალური პიესის, ოპერის, ბალეტისა და სხვ.
2. **კაპელა** – მომღერალთა გუნდის უძველესი სახეობაა. ამჟამად აკადემიურ გუნდს (პროფესიონალ მომღერალთა საგუნდო კოლექტივს) ხშირად უწოდებენ კაპელას.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი ფირი შეურჩიეთ რუბრიკას „საკონცერტო დარბაზებში“? შემოხაზავენ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერს: N1 N2 N3 N4.
- თქვენი აზრით, რომელი კონცერტის შესახებ მოგვითხრობს ეს რუბრიკა:

ა) სიმფონიური მუსიკის; ბ) კამერული მუსიკის; გ) ვოკალური მუსიკის.

- როგორ ფიქრობთ, მოსმენილთაგან რომელმა მუსიკალურმა ქუდმა მიიწვია მაყურებელი პრემიერაზე? შემოხაზავენ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერს: N1 N2 N3 N4.
- ეს საოპერო სპექტაკლის პრემიერაა თუ საბალეტო სპექტაკლის? რატომ ფიქრობთ ასე?
- გამოიცანით, ვინ ეწვია რუბრიკას სტუმრად?

ა) პიანისტი; ბ) მევიოლინე; გ) ფლეიტისტი.

- როგორი მუსიკა შეურჩიეთ სტუმრის რუბრიკას?

ა) ამ მუსიკის რიტმი ისეთი აქტიურია, თითქოს გვეხუმრებაო;

ბ) ამ მუსიკის რიტმი ცეკვის სურვილს აღძრავს;

გ) ორივე პასუხი სწორია.

- რომელ მუსიკალურ ქუდში გაჟღერდა წკრიალა ბგერები? შემოხაზეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი N1 N2 N3 N4

- რომელი რუბრიკის ქუდს აღწერს ეს მუსიკა? ახსენით პასუხი.
- ამ მუსიკას მხოლოდ ინსტრუმენტები ასრულებს თუ ვოკალიც დაემატა?
- რატომ შეურჩიეთ ამ რუბრიკას ასეთი მუსიკა?
- რომელ მუსიკალურ ქუდში გაჟღერდა ვოკალი (ადამიანის ხმა)?
- რომელ მუსიკალურ ქუდში გაჟღერდა ხმის ეფექტი?

II. ახლა კი, მოსწავლეები სამუშაო რვეულში ეცნობიან **ანონსის** განმარტებას. ვიდრე იმუშავებენ მუსიკალურ კომპოზიციაზე, სატელევიზიო გადაცემის, „ტელეაფიშის“ მუსიკალურ ანონსზე, მასწავლებელს ვთავაზობთ ერთ-ერთი ტელეგადაცემის ანონსის აუდიოფირს, რათა მოსწავლეებს წარმოდგენა შეექმნათ იმ პროდუქტზე, რისი შექმნაც ამ აქტივობით ევალებათ.

მასწ. - შექმენით „ტელეაფიშის“ მუსიკალური ანონსი, სადაც მოკლედ იქნება აღწერილი თითოეული რუბრიკა (**„საკონცერტო დარბაზებში“, „ჩვენი პრემიერა“, „ჩვენი სტუმარი“, „ჩვენი ისტორია“**). შეეცადეთ, ტექსტმა მაყურებელი დააინტერესოს, სურვილი აღუძრას, რომ უყუროს დაანონსებულ გადაცემას. თითოეული რუბრიკის მოკლე მიმოხილვას (ტექსტს) დაურთეთ თქვენ მიერ შერჩეული მუსიკალური ქუდები. ანონსის ტექსტის ბოლო წინადადება უკვე შევსებულია.



სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი ფრაზით მიიქციეთ ტელემაყურებლის ყურადღება?
- რომელი რუბრიკის მოკლე აღწერით დაიწყეთ ანონსი?
- როგორ ფიქრობთ, თქვენ მიერ შედგენილი ანონსის ტექსტი და მისთვის შერჩეული მუსიკა მაყურებლის ინტერესს აღძრავს?
- აღწერეთ რუბრიკის **„საკონცერტო დარბაზებში“** ტექსტისთვის შერჩეული მუსიკა:

ა) ეს მუსიკა იწყება ნელ ტემპში. მელოდია აღმავალი მიმართულებით მოძრაობს. მასში ერთმანეთის მონაცვლეობით გაჟღერდება ჩასაბერი საკრავების დაბალი რეგისტრისა და მაღალი რეგისტრის ბგერები.

ბ) მუსიკის შესრულებაში ჩართულია ორკესტრის მთლიანი შემადგენლობა ანუ როგორც მას უწოდებენ, საორკესტრო Tutti.

გ) ორივე პასუხი სწორია.

• განსაკუთრებით რომელი რუბრიკა დააინტერესებს მაყურებელს? რატომ ფიქრობთ ასე?

ა) იმიტომ, რომ ეს რუბრიკა მთელი თვის განმავლობაში განსახორციელებელ საკონცერტო ცხოვრებაზე მოგვითხრობს;

ბ) იმიტომ, რომ ამ რუბრიკის საშუალებით ბევრ ცნობილ მუსიკოსს ეცნობა მაყურებელი;

გ) იმიტომ, რომ ამ რუბრიკის მუსიკალური ქუდი ძალიან მხიარულია, ხალისიანია.

აქტივობა 13-14

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 9 „ვქმნით მუსიკალურ ანონსს“); ფირები № 1,2,3,4.

მოსწავლეებს ვთავაზობთ პროგრამაში **LMMS** შექმნან გადაცემის „ტელეაფიშის მუსიკალური ანონსი. ამისათვის:

1. შეიტანეთ პროგრამაში **LMMS** თქვენ მიერ შერჩეული „ტელეაფიშის“ რუბრიკების მუსიკალური ქუდების „სემპლები“;

2. პროგრამის **„Audacity**“ დახმარებით ჩაწერეთ მუსიკალური გადაცემის ანონსის ტექსტი და შექმენით „სემპლი“;

3. შექმნილი „სემპლი“ დანარჩენ „სემპლებთან“ ერთად შეიტანეთ პროგრამაში LMMS;

4. შექმენით ამ პროგრამაში თითოეული „სემპლის“ „ტრეკები“ (ბილიკები) და დაალაგეთ საჭირო თანმიმდევრობით - შექმენით მუსიკალური ანონსის გაერთიანებული ტრეკი.

აქტივობა 15-17

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 10 „მუსიკალური ანონსი არამუსალურ თემებზე“); აუდიოფირები ანონსისთვის.

ა) მასწავლებელი სთავაზობს კლასს, შექმნან, მოამზადონ ანონსი. ამისათვის ასმენინებს რამდენიმე ფრაგმენტს (ფირები 1, 2,3), მას გააანალიზებენ ხასიათის მიხედვით, განსაზღვრავენ, რა სახის ხმოვანი ეფექტები ისმის, რას შეიძლება აღნიშნავდეს ეს ეფექტები და ა.შ.

ბ) მასწ. – მოდით, მოამზადეთ მუსიკალური ანონსი. ამისათვის კი, საჭიროა, წარმოიდგინოთ, რომ მუსიკალური რეჟისორი ხართ და უნდა გააფორმოთ და მიუსადაგოთ შესაფერი მუსიკალური ფრაგმენტი.

დაგვეთანხმებით, სატელევიზიო გადაცემები შეეხება სხვადასხვა თემას: ჯანმრთელობას, მეცნიერებას, ხელოვნებას, სპორტს, ცხოველთა სამყაროს და ა.შ.

განვლილ გაკვეთილებზე თქვენ მიერ მომზადებული/მუსიკალურად გაფორმებული ანონსები/აფიშები ძირითადად მუსიკალურ თემებს შეეხებოდა. ახლა კი, დროა, იმგვარი სატელევიზიო გადაცემის ანონსი შექმნათ, სადაც მუსიკალურ საკრავებზე, სიმღერებზე ან კომპოზიტორებზე კი არ იქნება საუბარი, არამედ ცხოველთა სამყაროზე ან ბუნების მოვლენებზე და ა.შ.

მაშ, დავიწყოთ:

წაიკითხეთ ტექსტები და შეურჩიეთ მუსიკალური ფონი. იფიქრეთ, როგორი ხასიათის მუსიკა მოუხდება გადაცემის წარდგენას – მღელვარე ან მხიარული, თუ მშვიდი ან მოწყენილი, ჩქარი თუ ნელი; როგორი მელოდია ან მოტივი მოუხდება ფრინველებს? დათვს? თაგვს? ფუტკარს? დარსა და ავდარს?

კომენტარი:

დავალების მიზანია, კიდევ ერთხელ გაიაზროს მოსწავლემ, თუ როგორი სახელწოდებები შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა გადაცემას; როგორ შეურჩიოს მუსიკა – გააფორმოს მუსიკალურად. მასწავლებელი აღნიშნულ აქტივობას შემდეგნაირად გაუკეთებს ორგანიზებას:

მოსწავლეები კითხულობენ პირველ ტექსტს, ერთობლივად არკვევენ, როგორ მუსიკას დაურთავენ; შემდეგ მასწავლებელი ასმენინებს 3 აუდიოფირს, რომელთაგანაც ბავშვები, სურვილისამებრ, შეარჩევენ ერთს (სხვადასხვა მოსწავლეს შეუძლია თავისი არჩევანი გააკეთოს), მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხებენ, სადაც უნდა ახსნან, რატომ, რა ნიშნით, რა მახასიათებლის მიხედვით შეურჩიეს მოცემულ ტექსტს კონკრეტული ფირი.

ეთერშია გადაცემა „ცხოველთა სამყაროში“!

„როგორ ფიქრობთ, რისთვის სჭირდებათ ფრინველებს ბუდე? რატომ იკეთებს თაგვი სოროს, დათვი ბუნაგს ან ფუტკარი – სკას? რატომ ვცხოვრობთ ადამიანები სახლებში?..

ბუდე, სორო, ბუნაგი და სკა საცხოვრებლისთვის თავშესაფარი – იგივე მათი სახლია. ადამიანების მსგავსად, ცხოველების უმრავლესობასაც სჭირდება ისეთი ადგილი, სადაც თავს მშვიდად იგრძნობს“.

ეთერშია გადაცემა „როგორი ამინდი იქნება ხვალ?“

ადამიანები ოდითგანვე ცდილობენ ამინდის გამოცნობას სხვადასხვა ნიშნით, მაგალითად, ამბობენ, თუ მამალი საღამო ხანს ყივის, ამინდი შეიცვლებაო; თუ ჭრიჭინა საღამოს ძლიერ ჭრიჭინებს, გამოიდარებს და კარგი ამინდი იქნებაო... თუ გარეთ დარია, აკვარიუმში თევზები მშვიდად ცურავენ, ხოლო თუ აჩქარდებიან და ზემოთ-ქვემოთ ამოძრავდებიან, ე.ი. წვიმა წამოვაო... ასე ამბობენ...“

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მიუსადაგეთ ცხოველთა სამყაროს გადაცემის ანონსს? რატომ?
- როგორ აღწერდით ამ ფრაგმენტის მელოდიას?
- ამ მუსიკაში ხმოვანი ეფექტები არის გამოყენებული? თუ კი, გვითხარით, რის გადმოცემას ემსახურება ეს ხმოვანი ეფექტები?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი არ აირჩიეთ? რატომ?
- როგორ აღწერდით მესამე ნომრად გაჟღერებული ფრაგმენტის მელოდიას?
- როგორ ფიქრობთ, რა აქვს საერთო თქვენ მიერ მოსმენილ ყველა მუსიკალურ ფრაგმენტს?
- შეიძლება თუ არა ყველა მუსიკალური ფირი ფონად დავურთოთ თქვენ მიერ წაკითხულ ანონსის ტექსტს?
- როგორ აღწერდით ამ ფრაგმენტების რიტმს? ტემპს? განწყობას?
- პირველ ნომრად გაჟღერებული ფირის ფონზე, რა განწყობით, როგორი ინტონაციით წაიკითხავდით ანონსის ტექსტს? ახსენით პასუხი;
- რას იტყვით მეორე ნომრად გაჟღერებული ფირის შესახებ, იმავე განწყობით, იმავე ემოციითა და ტემპით წაიკითხავდით ანონსის ტექსტს, როგორც ეს პირველი ფირის შემთხვევაში იქნებოდა თუ განსხვავებულად? ახსენით პასუხი.

II თავი

სამიზნე ცოდნის აღწერა

თემა	**მუსიკა და თავისუფალი დრო** (დაეთმობა, დაახლოებით, 22 საათი)
საკითხი	განწყობის გადმოცემა მუსიკით
ქვეცნებები	**ბგერა** – ბგერის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო); სინთეზური ბგერა (ელექტრონული ბგერა); **რიტმი** – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო); **ტემპი** – ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი; **მეტრი** – ძლიერი და სუსტი დრო; **მელოდიის ხასიათი** – იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.); **მელოდიაში ინტონაციები** – ხმაბაძვითი ინტონაცია.
სამიზნე ცნება	**მუსიკა**

კომპლექსური დავალება №2 (აქტივობა 40-44)
(აღნიშნული დავალების შესრულებისა და წარდგენისათვის
გამოიყოს 4-5 საგაკვეთილო საათი)

კომპლექსური დავალების პირობა	**გრძელვადიანი მიზნები**
<u>საკითხი:</u> განწყობის გადმოცემა მუსიკით. **პირობა**: შეადგინეთ მუსიკალური განრიგი დიდ მოლში (სავაჭრო ცენტრში) გატარებული თავისუფალი დროს შესახებ და წარუდგინეთ თქვენი განრიგი კლასს **პრეზენტაციის დროს წარმოაჩინეთ**: • როგორ ამოიცანით სურათებში სავაჭრო და საკვები ობიექტების სახეობები? • როგორ, რის მიხედვით მიუსადაგეთ სურათებს მუსიკალური ფრაგმენტები? • როგორ ახსნით, თუ რა მუსიკალური ხერხებით მიიღწევა ესა თუ ის განწყობა? • როგორ შეარჩიეთ მუსიკალური კომპოზიციის დაწყებისთვის, შუა ნაწილების, კულმინაციისა და დასრულებისთვის სათანადო მუსიკალური ფრაგმენტები? **დამხმარე რესურსი**: აუდიოფირები.	**<u>სამიზნე ცნება:</u>** მუსიკა **<u>შედეგი</u>**: მუს. 4,5. **<u>ქვეცნებები:</u>** **ბგერა** – ბგერის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო); სინთეზური ბგერა (ელექტრონული ბგერა). **რიტმი** – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო); **ტემპი** (ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი); **მეტრი** (ძლიერი და სუსტი დრო); **მელოდიის ხასიათი** (იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.); **მელოდიაში ინტონაციები** (ხმაბაძვითი ინტონაცია). **<u>სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</u>** • მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის განწყობას, შინაარსს და იწვევს ჩვენში გარკვეულ განცდას; • ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია; • მუსიკალურ ნაწარმოებებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

საკითხი: მუსიკით განწყობის გადმოცემა

პირობა: შეადგინეთ მუსიკალური განრიგი დიდ მოლში (სავაჭრო ცენტრში) გატარებული თავისუფალი დროის შესახებ და წარუდგინეთ თქვენი განრიგი კლასს.

ინსტრუქცია:

I. დაათვალიერეთ სხვადასხვა სავაჭრო და საკვები პუნქტების სურათები და შეურჩიეთ სათანადო მუსიკალური ფონი

- მოიფიქრეთ და გადაწყვიტეთ, სად შეხვალთ, კაფეში, ფასტფუდში თუ რესტორანში. შეარჩიეთ სათანადო მუსიკალური ფონი და მიუწერეთ მათი ნომრები სათანადო სურათს;

- ახლა წარმოიდგინეთ, რომ ათვალიერებთ მაღაზიებს, საიდანაც ისმის სხვადასხვა მუსიკა. აირჩიეთ ორი ან სამი სურათი, რომლებიც მოგწონთ, დაურთეთ მუსიკალური ფონი თითოეულ სურათს და მიუწერეთ მუსიკალური ფონის ნომერი;

II. ახსენით, რა მახასიათებლების მიხედვით შეურჩიეთ ამ სურათებს მუსიკალური ფონი და რატომ დაალაგეთ ამ თანმიმდევრობით;

- შექმენით მოლში გადაადგილების განრიგი. ამისათვის შეავსეთ სქემა: დაალაგეთ თქვენ მიერ შერჩეული საკვები და სავაჭრო ობიექტები მუსიკალური ფონების მიხედვით იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც გადაწყვეტთ მოლში მოძრაობას.
- რომელი მუსიკალური ფონი შეიძლება გახდეს მოლში თქვენ მიერ გატარებული თავისუფალი დროის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად;
- რომელი მუსიკალური ფონით სჯობს, რომ დაასრულოთ თავისუფალი დროის განრიგი?

თქვენი განრიგი წარუდგინეთ თანაკლასელებს:



აღწერა	
ამოიცნობს სურათებში სავაჭრო და საკვები ობიექტების სახეობებს.	
უსადაგებს სურათებს მუსიკალურ ფრაგმენტს.	
ამოიცნობს მუსიკალური ფრაგმენტების განწყობას.	
ავსებს ცხრილს პირობის თანახმად.	
აღწერს საკუთარ კომპოზიციას პრეზენტაციის დროს.	
ახსნა	
ხსნის თავის არჩევანს, თუ რატომ შეურჩია კონკრეტული მუსიკალური ფრაგმენტი კონკრეტულ სურათს (არგუმენტის დროს მიზნობრივად იყენებს ტერმინებს, იყენებს სათანადო ლექსიკას).	
ხსნის, თუ რა მუსიკალური ხერხებით მიიღწევა ესა თუ ის განწყობა.	
შეფასება	
ალაგებს მუსიკალურ ფრაგმენტებს საკუთარი პრი-ორიტეტების თანახმად.	
ფრაგმენტების დალაგების დროს ითვალისწინებს მთლიანი კომპოზიციის აგების წესს (არჩევს მუსიკალური კომპოზიცი-ის დაწყებისთვის, შუა ნაწილების, კულმინაციისა და დას-რულებისთვის სათანადო მუსიკალურ ფრაგმენტებს).	
გადმოსცემს თავის დამოკიდულებებს.	

კომენტარი:

მასწავლებელი შეახსენებს კლასს, რომ ინსტრუქციის თანახმად, კვების სამი ობი-ექტიდან უნდა შეარჩიონ მხოლოდ ერთი, ხოლო სავაჭრო ოთხი ობიექტიდან კი - ორი ან სამი. ყველა ობიექტს შეურჩევენ მუსიკალურ ფონს. სქემის შევსების დროს თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ რა თანმიმდევრობით გადაადგილდებიან მოლში. ამგვარად შექმნიან კომპოზიციას, რომელსაც შემდეგ წარუდგენენ კლასს.

პრაქტიკული რჩევები - კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები

I ეტაპი (კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა)

	რა აქტივობებს განვახორციელებთ	**რა კითხვებზე ვმუშაობთ?**	**რა კავშირშია კომპლექსურ დავალებასთან?**
I ეტაპი კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა	**მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, აგრეთვე ცხრილის წარდგენა.** თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ დავაფიქროთ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე მარტივ აქტივობას. მაგალითად, საწყის ეტაპზე მასწავლებელი გაესაუბრება კლასს, არკვევს რა იგულისმება დასვენებაში; დასვენების ფორმებს – აქტიურსა და პასიურს; ახდენენ ჩამონათვალის დახარისხებას ფორმის მიხედვით. შეუძლია მოასმენინოს რამდენიმე მუსიკალური ფრაგმენტი და მოსწავლეებმა განსაზღვრონ, დასვენების რომელ ტიპს შეესაბამება; რა შეიძლება ასეთი მუსიკის ფონზე ან თანხლებით გააკეთოს ადამიანმა – დახატოს? წიგნი წაიკითხოს? კაფეში გაისეირნოს? იმოგზაუროს? და ა.შ. – ყოველივეს მომდევნო გაკვეთილებიდან (II ეტაპიდან) მოყვება თანმიმდევრული ნაბიჯები, რომლებიც შეამზადებს მოსწავლეს აღნიშნული კომპლექსური დავალების შესასრულებლად.	• რას ნიშნავს აქტიური/პასიური დასვენება? • როგორი მუსიკა მოუხდება აქტიურ/პასიურ დასვენებას? • როგორ წარმოგიდგენიათ კომპლექსური დავალების შესრულება? • ივარაუდეთ, რა ცოდნაა საჭირო დავალების შესასრულებლად?	კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის – მარტივიდან რთულისაკენ – გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დაეხმაროს.

II ეტაპი
ნაბიჯი 1. სხვადასხვა სავაჭრო და კვების ობიექტის სურათებისთვის სათანადო მუსიკალური ფონის შერჩევა (აქტ. 23-35);
ნაბიჯი 2. დასვენებისა და გართობის ფორმების აღწერის დროს მუსიკაში გარკვეული კანონზომიერებების დანახვა (აქტ. 36-37);
ნაბიჯი 3. კომპლექსური დავალების შესსრულება-წარდგენა (აქტ. 38-42).

აქტივობა 23-24

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 12 „შინაარსიანი დასვენება“); აუდიოფირები.

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „დასვენება“ და სთხოვს მოსწავლეებს, უკარნახონ, თუ რა შეიძლება უკავშირდებოდეს დასვენებას. სავარაუდო პასუხები მასწავლებლის წიგნშია განთავსებული („ასოციაციური რუკა“), შემდეგ მოხდება მოცემული ვარიანტების დახარისხება: აქტიური დასვენება და პასიური დასვენება. დიალოგის ფორმით ერთობლივად გადაწყვეტენ დასვენების ფორმებს.

აქტიური დასვენება	პასიური დასვენება

სამუშაო რვეულში კითხულობენ, თუ როგორი დასვენება სჭირდება სხვადასხვა საქმით დაკავებულ ადამიანებს.

ადამიანისთვის ყველაზე კარგი დასვენება ვიწრო წრეში, ახლობლებთან ერთად, ბუნების წიაღში მხიარული პიკნიკის მოწყობაა.

ადამიანისთვის, რომლის სამსახური ძლიერ ფიზიკურ დატვირთვას ითხოვს, საუკეთესო დასვენება ბაღის ჩრდილიან კუთხეში, ჰამაკზე ან ზღვის სანაპიროზე წამოწოლაა.



ადამიანისთვის, რომელსაც სამსახურში ბევრი ახალი იდეის მოფიქრება სჭირდება, ყველაზე კარგი დასვენება შემოქმედებაა: ხატვა, ძერწვა და სხვ.

ადამიანი, რომლის საქმიანობაა სხვა ადამიანების დამშვიდება, თანაგრძნობა, რჩევების მიცემა, ყველაზე კარგად ისვენებს მშვიდ, მყუდრო, არამკვეთრად განათებულ გარემოში.

მასწავლებელი ასმენინებს ხუთ მუსიკალურ ფრაგმენტს, მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ ოთხი ფრაგმენტი და მიუსადაგონ აქ მოცემულ ტექსტებს (ჩაწერონ ცარიელ უჯრებში ფრაგმენტის ნომერი).

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- თქვენი აზრით, რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში იგრძნობა არამკვეთრად გაშუქებული კუთხე?
- როგორ ფიქრობთ, რით არის ეს ეფექტი მიღწეული?
- როგორი ტემპი აქვს ამ მუსიკალურ ფრაგმენტს: ჩქარი თუ ზომიერი?
- რომელი მუსიკალური საკრავი ასრულებს მელოდიას?
- როგორი რეგისტრის ბგერები ჟღერს მელოდიაში, მაღალი, საშუალო თუ დაბალი?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მიუსადაგეთ ხატვას და ძერწვას? რატომ?
- რას გამოძერწავდით ამ მუსიკის ფონზე?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი არ აირჩიეთ? რატომ?
- როგორ აღწერდით მეოთხე ფრაგმენტის მელოდიას?
- როგორ ფიქრობთ, რა აქვს საერთო ყველა ამ მუსიკალურ ფრაგმენტს?

ა) შეიძლება თუ არა ამ მუსიკის ფონზე რაიმე მოძრავი, ენერგიული საქმის კეთება?

ბ) როგორ აღწერდით ამ ფრაგმენტების რიტმს?

- მაშ ასე, დასვენებას, რომლის დროსაც ადამიანი ნაკლებად მოძრაობს და არის მოშვებული, პასიურს უწოდებენ. ამ შემთხვევაში, როგორი მუსიკა შეიძლება ჟღერდეს ფონად?

აქტივობა 25-26

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 13 „როგორი მუსიკა მოუხდება აქტიურ დასვენებას?“); ქსილოფონის, მარიმბას, ვიბრაფონის ხმები; აუდიოფირები № 1,2,3,4.

მასწავლებელი ასმენინებს კლასს რამდენიმე მუსიკალურ ფრაგმენტს. ბავშვებმა უნდა შემოხაზონ იმ ფრაგმენტების ნომრები, რომლებიც, მათი აზრით, აქტიურ დასვენებას მოუხდება:

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რის მიხედვით შეარჩიეთ აქტიური დასვენებისთვის მუსიკალური ფრაგმენტები?
- თქვენი აზრით, რომელი მუსიკალური ფრაგმენტია ყველაზე ენერგიული?
- როგორ ფიქრობთ, რატომ?
- რას გააკეთებდით ამ მუსიკალური ფრაგმენტის ფონზე?
- შემოთავაზებული მეორე ფრაგმენტის მოსმენისას როგორი დასვენება წარმოგიდგენიათ?

მასწავლებელი ასმენინებს № 3 მუსიკალურ ფრაგმენტს და სთხოვს კლასს, ივარაუდონ, მოსმენილი სამი ფრაგმენტიდან (ვიბროფონი, ქსილოფონი, მარამბო) რომელშია გამოყენებული ამ ინსტრუმენტის (იგ. ვიბროფონი) ხმა (ტემბრი). რომელი ინსტრუმენტია გამოყენებული № 3 მუსიკალურ ფრაგმენტში? ცხრილში შემოხაზონ შესაბამისი ნომერი:

	№ 1

- კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ამ ინსტრუმენტების ხმებს და გამოთქვით ვარაუდი, რომელ ინსტრუმენტს ეკუთვნის ეს თქვენ მიერ შერჩეული ხმა:

ქსილოფონი

მარიმბა

ვიბროფონი

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- თქვენი აზრით, რომელი ინსტრუმენტების ხმა მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ხისგან არის გაკეთებული?
- რომელი ინსტრუმენტის ბგერა მიუთითებს იმაზე, რომ იგი სპილენძისგან არის გაკეთებული?
- რომელი ინსტრუმენტის ხმა არის ყველაზე წვრილი?
- მოუსმინეთ კიდევ ერთხელ მუსიკალურ ფრაგმენტს, რომელშიც ამ ინსტრუმენტის ხმა ისმის. რას მიამსგავსებდით ამ ხმას?
- როგორ დაასრულებდით ამ წინადადებას: „აქტიური დასვენების დროს ჩვენ ვირჩევთ ისეთ საქმეს, რომელიც.....“

აქტივობა 27-29

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 14 „ფონური მუსიკა“); მოსასმენი ფირები №1,2,3 (დღე, საღამო, ღამე); ემბიენტი (ვოკალური, ინსტრუმენტული, ვოკალურ-ინსტრუმენტული).

მუსიკა რეკლამის ეფექტური საშუალებაა. შეიძლება სახლში ტელევიზორს არ ვუყუროთ, ან ქუჩაში სარეკლამო ბანერს გვერდი ავუაროთ, მაგრამ მუსიკას ვერსად დავემალებით. მისი ჟღერადობა გულის სიღრმემდე შემოდის და წამიერად აჩენს სხვადასხვა შეგრძნებას.

ერთი დღით გაისეირნეთ სხვადასხვა დაწესებულებაში: სავაჭრო ცენტრში, ბანკში, სილამაზის სალონში, კაფეში ან კიდევ ოფისში. შენიშნავთ, რომ იქ ადამიანები დადიან, საუბრობენ, პარალელურად კი ჟღერს მუსიკა. ამგვარი მუსიკალური ფონი იქ მყოფთ დადებით ემოციებს ჰგვრის. მსუბუქი მუსიკა თითქოს ეფერება ადამიანის სმენას, მას ყური კი არ ისმენს, არამედ შეიგრძნობს...

ახლა კი, წარმოიდგინეთ, რომ ხართ **მუსიკალური დიზაინერი** (იგივე მუსიკალური გამფორმებელი). საინტერესოა, როგორ მუსიკალურ ფონს შეურჩევდით კაფეს ან რესტორანს? თუ გაიხსენებთ, რომ კაფესა და რესტორანში ადამიანები დღის ყველა მონაკვეთში (დღე, საღამო, ღამე) დადიან, დავალების შესრულება გაგიადვილდებათ.

წაიკითხეთ ცხრილში განთავსებული ტექსტები, შემდეგ მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტები და შეეცადეთ, შეუსაბამოთ ტექსტს. უჯრაში ჩაწერეთ გაჟღერებული ფირის ნომერი.

დღე	**საღამო**	**ღამე**
საჭიროებს დადებით, პოზიტიურ განწყობას, მსუბუქი მუსიკა სასიამოვნო რიტმით და ვოკალით ამგვარ განწყობას უსათუოდ უზრუნველყოფს.	საქმიანი შეხვედრების დროა. მუსიკალური ფონიც, შესაბამისად, აქტიური და მოძრავი უნდა იყოს.	დღის ამ მონაკვეთს მშვიდი, სასიამოვნო ინსტრუმენტული მუსიკა უხდება

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გაჟღერდა პირველ ნომრად?
- დღის რომელ ნაწილს შეუსაბამეთ ეს მუსიკა? ახსენით პასუხი;
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გამოირჩევა საცეკვაო ხასიათით?
- მუსიკის რომელი ელემენტი ანიჭებს ამ ფრაგმენტს საცეკვაო ხასიათს?
- როგორია რიტმი, აქტიური, ენერგიული თუ მშვიდი?
- მოსმენილთაგან ყველაზე მშვიდი რომელი ფრაგმენტი იყო?
- მოსმენილთაგან რომელ ფირში გაჟღერდა ვოკალი (ადამიანის ხმა)?
- მუსიკალურ ფრაგმენტებში გაჟღერდა ხმოვანი ეფექტები?
- როგორი განწყობის შექმნას ემსახურება ეს ეფექტები?

მოსწავლეები სამუშაო რვეულში კითხულობენ ტექსტს, რომელიც ფონური მუსიკის განმარტებას წარმოადგენს. აქვე ეცნობიან ტერმინს **„ემბიენტი“.**

კომენტარი:

მასწავლებელი ინფორმაციის საილუსტრაციოდ მოასმენინებს ბ. ინოს ემბიენტს „აეროპორტის მუსიკა“. მოსწავლეებს ევალებათ მუსიკალური მონაკვეთების ამოცნობა (ვოკალური, ვოკალურ-ინსტრუმენტული, ინსტრუმენტული); მოსმენის შემდეგომ მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, დაალაგონ ფრაგმენტები საკუთარი პრიორიტეტების მიხედვით; და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ უნდა იმსჯელონ, ახსნან თუ რატომ დაალაგეს ამ თანმიმდევრობით.

მართალია, მოსასმენ მონაკვეთებში ერთი შეხედვით მარტივად არ შეინიშნება მუსიკის განვითარების ეტაპები (დასაწყისი, განვითარება კულმინაციით და დასასრული), თუმცა საშემსრულებლო შემადგენლობის გათვალისწინებით მაინც შესაძლებელი იქნება საკუთარი პრიორიტეტის დაფიქსირება. ჩვენთვის ხომ მნიშვნელოვანია მოსწავლემ იფიქროს, იმსჯელოს, დაასაბუთოს – საკუთარი ინტეპრეტაცია წარმოაჩინოს.

ფონურ მუსიკას უწოდებენ ისეთ მუსიკას, რომელსაც აქტიურად არავინ უსმენს, მაგრამ იგი ადამიანის განწყობაზე, მის სურვილებზე დიდ ზეგავლენას ახდენს. ფონურ მუსიკას სხვანაირად **ემბიენტი** ჰქვია. რა არის ემბიანეტი? მშვიდი მუსიკისა და შორეული ხმების ერთობლიობა. მას არა აქვს რიტმი. ემბიენტი ემყარება ერთი მოტივის, ან ფრაზის ან მელოდიის მრავალჯერ გამეორებას.

მასწავლებელი ასმენინებს ინგლისელი მუსიკოსის, ბრაიან ინოს ემბიენტს – **„აეროპორტის მუსიკა“.** მუსიკის ხანგრძლივობაა 48 წუთი. იგი რამდენიმე მონაკვეთისგან შედგება – ინსტრუმენტული, ვოკალური და ვოკალურ-ინსტრუმენტული.

მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, რომელი რომელია. მონიშნონ გაჟღერებული ფირის ნომერი:

ვოკალური №

ინსტრუმენტული №

ვოკალურ-ინსტრუმენტული №

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რამდენად მარტივად ამოიცანით მოსმენილ მონაკვეთებში, თუ რომელია ვოკალური, ვოკალურ-ინსტრუმენტული და ინსტრუმენტული?

• გაიხსენეთ ემბიენტის განმარტებიდან და დაფიქრდით, რომელ მონაკვეთში გაჟღერდა მუსიკალური ფრაზა? (მასწავლებელს შეუძლია ეს ფრაზა ან დაუკრას, ან გაიმღეროს).

• შეგიძლიათ მღერით მიამსგავსოთ?

• გაიხსენეთ, ფრაზა მუსიკალური ნაწარმოების მცირე მონაკვეთია, მასში გადმოცემულია რაიმე დასრულებული მუსიკალური აზრი. ფრაზა, თავის მხრივ, შედგება მოტივებისგან. ახლა კი, განმეორებით მოისმინეთ ემბიენტის ინსტრუმენტული ეპიზოდი და განსაზღვრეთ, რამდენი მოტივისგან შედგება ფრაზა?

• რომელ მოტივში შენიშნეთ დიდი დაშორების ინტერვალით ნახტომი?



• ნახტომი აღმავალია თუ დაღმავალი?

• მუსიკის რომელი ელემენტი არ შეიმჩნევა ამ კომპოზიციაში – მელოდია, რიტმი, ჰარმონია, ტემბრი?

მასწავლებელი კვლავ ასმენინებს კლასს სამ მონაკვეთს და სთხოვს, შეძლებისდაგვარად დაალაგონ ისინი იმგვარად, რომ მიიღონ კომპოზიცია დასაწყისით, შუა ნაწილითა და დასასრულით.

ახლა კი კვლავ მოისმინეთ ეს სამი მონაკვეთი და შეეცადეთ, დაალაგოთ თანმიმდევრობით იმგვარად, რომ მიიღოთ კომპოზიცია დასაწყისით, შუა ნაწილით და დასასრულით:

დასაწყისი მონაკვეთი №	შუა ნაწილი მონაკვეთი №	დასასრული მონაკვეთი №

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

• რომელი მონაკვეთით იწყება თქვენი კომპოზიცია? ახსენით, რატომ მიიჩნიეთ ეს ნაწილი დასაწყისად?

• რომელი მონაკვეთია დანარჩენებთან შედარებით უფრო მრავალფეროვანი – ხმოვანების, ინსტრუმენტთა შემადგენლობის მხრივ?

• კონკრეტულად რომელი ტემბრების ჟღერადობა ანიჭებს მუსიკას ამ მრავალფეროვნებას? დაასახელეთ, რომელი ნაცნობი ტემბრები გაჟღერდა ამ ეპიზოდში?

• ყველაზე მეტად რომელ მონაკვეთში შეიგრძნობა მშვიდი მუსიკისა და შორეული ხმების ერთობლიობა?

• შორეული ხმების ეფექტს როგორ აღწევს კომპოზიტორი?

აქტივობა 30-31

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 15 „მუსიკა კაფეში, ფასტფუდში და რესტორანში“); ფირები № 1,2,3.

იცით, რომ კაფეში შესვლის სურვილი ხშირად ნაკარნახევია მუსიკით, რომელიც ამ კაფეში ჟღერს? ამ მუსიკას სპეციალისტები ირჩევენ. გსურთ სპეციალისტებს შეგაჯიბროთ? გადაიკითხეთ ინსტრუქციები მუსიკალური ფონის შერჩევასთან დაკავშირებით.

წაიკითხეთ, როგორი ფონური მუსიკა უნდა შეირჩეს კონკრეტული სახის კვების ობიექტისთვის.

კაფე

კაფეში გარემო უნდა ამშვიდებდეს ადამიანს. აქედან გამომდინარე, ზედმეტად მოძრავი საცეკვაო მუსიკა კაფეს არ უხდება, მაგრამ ურიტმო მუსიკაც ამ შემთხვევაში არ გამოდგება, რადგან ადამიანი აქ ენერგიის აღსადგენად არის შემოსული:

ფასტფუდი

პოპულარული, ზედმიწევნით ენერგიული მუსიკა ასეთი ტიპის დაწესებულებას ყველაზე მეტად მოუხდება, რადგან აქ ადამიანი წასახემსებლად შემოდის. აქ მუსიკა მომსვლელს ჭამის სწრაფ ტემპს სთავაზობს:

რესტორანი

ამ დაწესებულებისთვის მუსიკალური ფონის შერჩევა ყველაზე ძნელია. ეს ელიტარული დაწესებულებაა, ხალხი მოდის იმისთვის, რომ კულტურულად დაისვენოს, ამიტომ ამ შემთხვევაში უნდა ისმოდეს კლასიკური ან მშვიდი ჯაზი:

შეეცადეთ მოცემული მუსიკალური ფრაგმენტებიდან აქ წარმოდგენილ ყოველ დაწესებულებას შეურჩიოთ სათანადო მუსიკალური ფონი. ჩაწერეთ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი სათანადო საკვების პუნქტის ცარიელ უჯრაში.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- თქვენი აზრით, რომელი მუსიკალური ფრაგმენტი იყო ყველაზე ენერგიული და ხმაურიანი?
- რით არის მიღწეული ენერგიულობა?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტშია გამოკვეთილი რიტმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მშვიდ გარემოს ქმნის?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში არის მოძრავი რიტმი, მაგრამ მთლიანობაში მუსიკა ამშვიდებს მსმენელს?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტის ფონზე დაისვენებდით ყველაზე კარგად? რატომ?

აქტივობა 32-33

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 16 „შევურჩიოთ ინტერიერს მუსიკა“); აუდიოფირები.

შეძლებთ ინსტრუქციის გარეშე საკვები პუნქტის ინტერიერის მიხედვით მუსიკალური ფონის შერჩევას? მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი ჩაწერეთ სათანადო ინტერიერის სურათის ცარიელ უჯრაში.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რამდენად კარგად ამოიცანით, თუ რა ტიპის საკვები პუნქტებია?
- რომელი გარემო გიზიდავთ ნაკლებად? რატომ?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტს დაუკავშირებდით ამ გარემოს? ახსენით პასუხი;
- რომელი მუსიკალური ფრაგენტი გიჩენთ ცეკვის სურვილს?
- რომელი ტიპის საკვებ პუნქტში გააჟღერებდით ასეთ მუსიკას?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტზე გახსენდებათ მყუდრო გარემო, სადაც შეიძლება საინტერესო თემაზე ისაუბროთ მეგობართან?
- რატომ დაუკავშირეთ ამ მუსიკალურ ფრაგმენტს მყუდრო, სასაუბრო გარემო?

ახლა შეავსეთ ცხრილი. ჩასვით საკვები ობიექტის სახელწოდების სტრიქონსა და სათანადო მუსიკალური ფონის ნომრის სვეტის გადაკვეთაზე უჯრაში აი, ეს √ ნიშანი:

	1	2	3
ფასტფუდი			
რესტორანი			
კაფე			

აქტივობა 34-36

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 17 „მუსიკა სავაჭრო ცენტრში“); ფირები № 1,2,3; 4,5,6; 7,8,9.

მრავალი ადამიანი ატარებს თავისუფალ დროს სავაჭრო ცენტრში. მაღაზიების ინტერიერის მიხედვით შეარჩიეთ მუსიკალური ფონი.

თქვენ წინაშეა მაღაზიის ინტერიერის სურათი. მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფონს, რომელიც ერთმანეთს გავს, მაგრამ არის გარკვეული განხვავებები. რომელი მუსიკალური ფონი მიგიზიდავდათ და ამ მაღაზიაში შესვლის სურვილს გაგიჩენდათ? შემოხაზეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი:

- რომელი ასაკის ადამიანს მოუხდება ყველაზე მეტად ასეთი ტანსაცმელი?
- შეიძლება ტანსაცმლის სტილის მიხედვით გამოიცნოთ, როგორი მუსიკალური ფონი უნდა შეირჩეს ამ მაღაზიისთვის?
- როგორ თვლით, მუსიკა რომელიც შეარჩიეთ, გამოდგება ამ მაღაზიის ფონური მუსიკისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ფრაგმენტებს და გაარკვიეთ, რომელ მუსიკალურ ფონშია ყველაზე მოძრავი, ენერგიული რიტმი, რომელში კი – ნაკლებად. ცხრილის შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ გაჟღერებული ფირის ნომერი.

მუსიკალური ფონი მოძრავი და ენერგიული რიტმით	**მუსიკალური ფონი ნაკლებად მოძრავი რიტმით**	**მუსიკალური ფონი მდორე რიტმით**

აბა, ამ მაღაზიის ინტერიერს შეხედეთ. რომელ მუსიკას შეურჩევდით? შემოხაზეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი:



- როგორ ფიქრობთ, რა ასაკის ადამიანს მიიზიდავს ასეთი ინტერიერი?
- თქვენ შეხვიდოდით ასეთ მაღაზიაში? რატომ?
- როგორი მუსიკალური ფრაგმენტი შეურჩიეთ ამ ინტერიერს? რატომ?
- თქვენ მიერ შერჩეული მუსიკა მოგეწონათ, თუ უფრო ინტერიერს მოარგეთ?
- პირადად მოგწონთ ეს მუსიკა? რატომ?
- რატომ არ შეარჩიეთ ამ სამიდან რაიმე სხვა მუსიკალური ფრაგმენტი?

კიდევ ერთი მაღაზია:

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მოუხდება ამ მაღაზიის ინტერიერს? რატომ?
- ეს მუსიკალური ფრაგმენტი მოგეწონათ, თუ ინტერიერს მოარგეთ?
- თუ მოგეწონათ, რატომ მოგეწონათ, თუ – არა, ახსენით რატომ;
- დანარჩენ ორ მუსიკალურ ფრაგმენტს რა სახის ტანსაცმლის მაღაზიას მიუსადაგებდით? რატომ?
- როგორი მელოდია აქვს თქვენ მიერ შერჩეულ მუსიკალურ ფრაგმენტს?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტშია ფართოდ გაშლილი და მშვიდი მელოდია, ხოლო თანხლება გამოირჩევა სწრაფი ენერგიული რიტმით?
- სპორტის რომელი სახეობა წარმოგიდგენიათ ამ მუსიკის მოსმენისას? რატომ?

ცხრილის შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ გაჟღერებული ფირის ნომერი.

ყველაზე მელოდიური მუსიკალური ფონი	ნაკლებად მელოდიური მუსიკალური ფონი	არამელოდიური მუსიკალური ფონი

განზოგადება:

ახლა კი მოუსმინეთ ამ სამივე მაღაზიის სამ მუსიკალურ ფონს. გაიხსენეთ, რომელი მუსიკალური ფონი რომელ მაღაზიას შეესაბამება. ასევე დაადგინეთ, რომელი მუსიკალური ფონი არის თქვენთვის ყველაზე მელოდიური. ამის შემდეგ დაიწყეთ ცხრილის შევსება:

- ჯერ მონახეთ უჯრა, რომელიც პირველი მუსიკალური ფონის სვეტისა და სათანადო მაღაზიის სტრიქონის გადაკვეთაზეა,
- შემდეგ ჩაწერეთ ციფრი „1“, თუკი თვლით, რომ ეს მუსიკალური ფონი ყველაზე მელოდიურია;

- თუ მიგაჩნიათ, რომ ეს მუსიკალური ფონი არც თუ ისე მელოდიურია, ჩაწერეთ ციფრი „2“;
- მაგრამ, თუ ფიქრობთ, რომ ეს მუსიკალური ფონი საერთოდ არ არის მელოდიური, ჩაწერე ციფრი „3“.

ამგვარად შეავსეთ დანარჩენი უჯრებიც:

	ყველაზე მელოდიური მუსიკალური ფონი	**ნაკლებად მელოდიური მუსიკალური ფონი**	**საერთოდ არ არის მელოდიური ფონი**
ძვირფასი ტანსაცმლის მაღაზია			
ახალგაზრდული ტანსაცმლის მაღაზია			
სპორტული ტანსაცმლის მაღაზია			

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რომელი მუსიკა არის ძალიან მელოდიური? შეარჩიეთ პასუხი;
  - მუსიკა, რომელიც მოგწონთ;
  - მუსიკა, რომელიც გახალისებთ;
  - მუსიკა, რომლის წამღერება შეიძლება;
  - უბრალოდ, ნელი მუსიკა;
- რომელი მუსიკა უფრო მოგწონთ? შეარჩიეთ პასუხი:
  - მუსიკა, რომლის თანხლებით ცეკვა შეიძლება;
  - სწრაფი მუსიკა;
  - სულ ერთია, სწრაფია თუ ნელი, საცეკვაოა, თუ არა. მთავარია, იყოს მელოდიური.

აქტივობა 37-39

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 18 „მუსიკა და მგზაურობა“); ვიდეოფირები № 1, 2, 3,4.

დაგვეთანხმებით, მოგზაურობის დროს ადამიანები სიამოვნებას ღებულობენ – ეს ხომ აქტიური დასვენების ერთ-ერთი ფორმაა.

როდესმე წასულხართ სამოგზაუროდ? როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე უცხო ადგილებმა, ახალმა ინფორმაციამ ნანახის შესახებ?

ა) მოდით, ერთად გავემგზავროთ იმერეთში, სადაც უჩვეულოდ ლამაზი პრომეთეს მღვიმე მდებარეობს. მგზავრობას მხიარული მუსიკა გაახალისებს. მოისმინეთ

ორი მუსიკალური ფრაგმენტი და ერთ-ერთი შეარჩიეთ მგზავრობის ფონად. კვადრატში ჩაწერეთ თქვენ მიერ შერჩეული ფირის რიგითი ნომერი.

კომენტარი:

მასწავლებელი ასმენინებს ორ მუსიკალურ ფირს, რომელთაგან შეაჩევენ ერთ-ერთს, მოსწავლეები ახსნიან, თუ რატომ გააკეთეს ამგვარი არჩევანი, გააანალიზებენ მუსიკას ხასიათის, ტემპის, ტემბრების მიხედვით.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი ფირი შეურჩიეთ მგზავრობის პროცესს? ახსენით, რატომ?
- იმსჯელეთ, როგორ ტემპში ჟღერს სამგზავრო მუსიკა?
- რომელი ნაცნობი საკრავები ამოიცანით?
- დააკვირდით ამ საკრავებს, რომელი ასრულებდა ამათგან მელოდიას?
- ამ საკრავზე ბგერა როგორ მიიღება:

ა) ჩაბერვით;

ბ) სიმებზე ხელის ჩამოკვრით.

- თქვენ მიერ შერჩეულ მუსიკალურ ფრაგმენტში ხმის ეფექტები ხომ არ შეგინიშნავთ? თუ კი, დაასახელეთ, რა დატვირთვა ჰქონდა ხმის ეფექტს ამ მუსიკაში?
- თქვენ მიერ მოსმენილი ორი ფირიდან, ერთ-ერთი არ შეგირჩევიათ მგზავრობის მუსიკალურ ფონად, ახსენით, რატომ?
- რითი განასხვავეთ ორი მოსმენილი ფირი?

ბ) სამუშაო რვეულში მოსწავლეები ათვალიერებენ სტალაქტიდებისა და სტალაგმიტების ნაღვენთი ფორმებით მორთულ მღვიმეს, რომელიც ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობას გვპირდება... მოსწავლეებმა მუსიკალური ფრაგმენტები უნდა შეურჩიონ ამ ილუსტრაციებს და კვადრატში ჩაწერონ შერჩეული ფირის ნომერი:

III თავი

სამიზნე ცოდნის აღწერა

თემა	**მუსიკის როლი ანიმაციასა და საყმაწვილო კინოში** (დაეთმობა, დაახლოებით, ------ საათი)
საკითხი	მუსიკით განწყობის გადმოცემა
ქვეცნებები	**ბგერა** – ბგერის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრ-ძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემ-ბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო); სინთეზური ბგერა (ელექტრო-ნული ბგერა); **რიტმი** – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტი-ნატო); **ტემპი** – ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი ;**მეტრი** – ძლიერი და სუსტი დრო; **მელოდიის ხასიათი** – იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.); **მელოდიაში ინტონაციები** – ხმაბაძვითი ინტონა-ცია.
სამიზნე ცნება	**მუსიკა**

კომპლექსური დავალება №3
(აქტივობა 56-60)
(აღნიშნული დავალების შესრულებისა და წარდგენისათვის
გამოიყოს 4-5 საგაკვეთილო საათი)

კომპლექსური დავალების პირობა	**გრძელვადიანი მიზნები**
<u>საკითხი:</u> მუსიკით თხრობა/მუსიკით ამბის მოყოლა და განწყობის შექმნა. **პირობა:** ეპიზოდისთვის ანიმაციური ფილმიდან „ტომი და ჯერი“ (რეჟ. უ. ჰანა და ჯ. ბარბერა) მოცემული მუსიკალური მაგალითებიდან შეურჩიეთ ხმის ეფექტები და მუსიკალური გაფორმება, შეავსეთ ცხრილი და წარუდგინეთ კლასს. **პრეზენტაციის დროს წარმოაჩინეთ**: 1.როგორ გადმოიცემა მუსიკის საშუალებით ამბავი ანიმაციურ ფილმში? 2. როგორ ამოვიცნოთ მუსიკის საშუალებით ამბავი ანიმაციურ ფილმში? 3· როგორ გადმოვცეთ მუსიკის საშუალებით ანიმაციურ ფილმში აღწერილი ამბავი? **დამხმარე რესუსი**: ფირები ანიმაციური ფილმიდან „ტომი და ჯერი“	**სამიზნე ცნება** – მუსიკა **შედეგი**1,2,4.5: **ქვეცნებები – მელოდიის სახეობა** (აღმავალი, დაღმავალი, მელოდია ნახტომებით, წყვეტილი, გაშლილი); **მელოდიის ხასიათი** (იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.); **მელოდია ხმაბაძვითი ინტონაციებით** **კეთილხმოვანი** (სასიამოვნო) **ჰარმონია** **არაკეთილხმოვანი** (არა სასიამოვნო) **ჰარმონია** **ქრომატიზმი; ბგერის ტემბრი** (უხეში, მჭახე, დახშული, წკრიალა, თბილი)**; სინთეზური ბგერა** (ელექტრონული ბგერა)**; რიტმი** (მოძრავი, ცოცხალი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური) **<u>სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</u>** • მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის განწყობას, შინაარსს და იწვევს ჩვენში გარკვეულ განცდას; • ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია; • მუსიკალურ ნაწარმოებებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

კომპლექსური დავალების პირობა:

ანიმაციური ფილმის – „ტომი და ჯერის“ (რეჟ. უ. ჰანა და ჯ. ბარბერა) მოცემული ეპიზოდის მუსიკალური მაგალითებიდან შეურჩიეთ ხმის ეფექტები და მუსიკალური გაფორმება, შეავსეთ ცხრილი და წარუდგინეთ კლასს.

ინსტრუქცია:[1]

როგორ შეიძლება ანიმაციური ფილმისთვის ხმის ეფექტების შერჩევა?

გაეცანით ეპიზოდს ხმის გარეშე. იმუშავეთ პირველ ცხრილზე:

- ცხრილის მიხედვით, რამდენ ნაწილად არის ეპიზოდი დაყოფილი?
- გაიაზრეთ ცხრილის თითოეული სვეტის დასახელება;
- მოუსმინეთ ოთხ ხმის ეფექტს და ჩასვით ნომერი ცხრილის სათანადო უჯრაში;
- ჩაწერეთ ცხრილის მეოთხე სვეტში, ხმის ეფექტის აღწერა:
- აღნიშნეთ, თქვენ მიერ აღწერილი ხმის ეფექტები რომელი რომელ მოქმედებას დაუკავშირეთ.

ცხრილი 1.

ფილმის ეპიზოდის ნაწილი	ეპიზოდის ნაწილის სათაური	ხმის ეფექტების თანმიმდევრობის ნომერი	აღწერეთ თქვენი სიტყვებით ხმის ეფექტი, რომლის მიხედვით მიუსადაგეთ თანმიმდევრობა ეპიზოდის ნაწილს
	მოიპარა გალია		
			

[1] კომენტარი აღნიშნული დავალებების შესასრულებლად იხილეთ გვ. 60.

როგორ შეიძლება ანიმაციური ფილმის ეპიზოდისთვის მუსიკალური ფონის შერჩევა?

გაეცანით მეორე ცხრილს:

➢ მოუსმინეთ მუსიკალური თანხლების მონაკვეთებს და შეეცადეთ ამოიცნოთ თითოეული მონაკვეთის განწყობა;

➢ მონაკვეთების განწყობის მიხედვით შეავსეთ მეორე ცხრილი:

✓ განწყობის მიხედვით მიუსადაგეთ მუსიკალური მონაკვეთები ეპიზოდის ნაწილებს;

✓ აღწერეთ თქვენი სიტყვებით თითოეული მუსიკალური მონაკვეთის განწყობა;

✓ დააკვირდით, ცხრილის რომელ სვეტში უნდა ჩაწეროთ მუსიკალური მონაკვეთის ნომერი;

ცხრილი 2.

ფილმის ეპიზოდის ნაწილი	მუსიკალური მონაკვეთის ნომერი	განწყობა, რომლის მიხედვით მივუსადაგე მუსიკალური მონაკვეთი ეპიზოდის ნაწილს
		

იმსჯელეთ, რა თავისებურებებით გამოირჩევა ანიმაციური ფილმისთვის შექმნილი მუსიკა:

- იმსჯელეთ, თუ როგორ გეხმარებათ გამოსახულება მუსიკალური თანხლების შერჩევაში;
- რას სძენს გამოსახულებას მუსიკალური ფონი;
- რა აკლდება გამოსახულებას, როდესაც მას არა აქვს ხმის ეფექტები და მუსიკალური თანხლება;
- გაიხსენეთ ანიმაციური ფილმი, რომლის მუსიკალური გაფორმება ყველაზე მეტად მოგწონთ. ახსენით, რატომ მოგწონთ.

რას ვაფასებთ?

აღწერა	
ამოიცნობს მოსმენილი მუსიკალური ფირების განწყობას.	
უსადაგებს სურათებს მუსიკალურ ფრაგმენტს.	
აღწერს ხმის ეფექტებს, რომელთა მიხედვით შეუსაბამა თანმიმდევრობა ეპიზოდის ნაწილს.	
აღწერს თავისი სიტყვებით თითოეული მუსიკალური მონაკვეთის განწყობას.	
ავსებს ცხრილს პირობის თანახმად.	
ახსნა	
ხსნის თავის არჩევანს, თუ რატომ შეურჩია კონკრეტული მუსიკალური ფრაგმენტი კონკრეტულ ფირს (არგუმენტის დროს მიზნობრივად იყენებს ტერმინებს, იყენებს სათანადო ლექსიკას).	
ხსნის, თუ რა მუსიკალური ხერხებით მიიღწევა ესა თუ ის განწყობა.	
შეფასება	
გარკვეული მასალის (შინაარსის, ეფექტების მიხედვით) საფუძველზე აკეთებს/ადგენს შესაბამისობებს.	
ფრაგმენტების დალაგების დროს ითვალისწინებს მთლიანი კომპოზიციის აგების წესს (არჩევს მუსიკალური კომპოზიციის დაწყებისთვის, შუა ნაწილების, კულმინაციისა და დასრულებისთვის სათანადო მუსიკალურ ფრაგმენტებს).	
გადმოსცემს თავის დამოკიდულებებს.	

კომენტარი:

კომპლექსური დავალების შესრულების პროცესში მასწავლებელი აქტიურად იქნება ჩართული. იგი დაეხმარება მოსწავლეებს, ეტაპობრივად განახორციელონ დავალების ინსტრუქცია, კერძოდ:

I ცხრილი:

- ანიმაციური ფილმისთვის ხმის ეფექტების შერჩევის მიზნით, უჩვენებს ფირს ხმის გარეშე და შეახსენებს, რომ ფირის ნახვის შემდეგ მათ დამოუკიდებლად უნდა დაასათაურონ ცხრილში წარმოდგენილი თითოეული ეპიზოდი (ერთ-ერთი ეპიზოდის დასათაურების ნიმუში ცხრილში უკვე არის);
- ასმენინებს ოთხი სახის ხმის ეფექტს (ფირები №1,2,3,4), რომლებსაც ბავშვები შეძლებისდაგვარად შეუსაბამებენ კონკრეტულ ეპიზოდს (შერჩევის სიზუსტეს გადამწყვეტი მნიშნელობა არ ენიჭება, მთავარია, მოსწავლემ ახსნას თუ დაახლოებით, რა ნიშნით შეუსაბამა ხმის ეფექტი ეპიზოდს);
- ცხრილის ბოლო სვეტში კი ბავშვებმა უნდა აღწერონ ის ეფექტი, რომელიც შეურჩიეს კონკრეტულ ეპიზოდს, მაგალითად, № 1 ფირის ხმის ეფექტი ამგვარად შეიძლება აღწერონ: „აღმავალი ნელი სვლა საშუალო რეგისტრის ხმიდან მაღალი რეგისტრის (წვრილ) ხმამდე, რასაც შემდეგ სტვენის მაგვარი ხმა მოყვება“;
- აღნიშნონ ბავშვებმა, კონკრეტული ხმის ეფექტი რომელ მოქმედებას დაუკავშირეს.

II ცხრილი:

- ანიმაციური ფილმის ეპიზოდისთვის მუსიკალური თანხლების შერჩევის მიზნით, ასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს (ფირები №5,6,7,8.) ბავშვებმა სცადონ და ამოიცნონ თითოეული მონაკვეთის განწყობა;
- მონაკვეთების განწყობის მიხედვით შეავსონ მეორე ცხრილი:
- განწყობის მიხედვით მიუსადაგონ მუსიკალური მონაკვეთები ეპიზოდის ნაწილებს;
- აღწერონ თავისი სიტყვებით თითოეული მუსიკალური მონაკვეთის განწყობა.

დაბოლოს:

- იმსჯელონ, თუ როგორ დაეხმარა გამოსახულება მუსიკალური თანხლების შერჩევაში;
- რას სძენს გამოსახულებას მუსიკალური თანხლება;
- რა აკლდება გამოსახულებას, როდესაც მას არა აქვს ხმის ეფექტები და მუსიკალური თანხლება;
- გაიხსენეთ ანიმაციური ფილმები, რომლის მუსიკალური თანხლება ყველაზე მეტად მოგწონთ. ახსენით, რატომ მოგწონთ.

პრაქტიკული რჩევები – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები

I ეტაპი (კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა)

	რა აქტივობებს განვახორციელებთ	**რა კითხვებზე ვმუშაობთ?**	**რა კავშირშია კომპლექსურ დავალებასთან?**
I ეტაპი კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა	**მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, აგრეთვე ცხრილის წარდგენა** თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ დავაფიქროთ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე მარტივ აქტივობას. მაგალითად, საწყის ეტაპზე მასწავლებელი გაესაუბრება კლასს და ერთობლივად გაიხსენებენ საყვარელ ანიმაციურ ფილმებს; არკვევენ, როგორი ხასიათის მუსიკა ჟღერს ფილმებში, რას ემსახურება, რაში გვეხმარება მუსიკა ანიმაციურ ფილმში... სამოტივაციოდ, მასწავლებელს შეუძლია შეასწავლოს რომელიმე სიმღერა ანიმაციური ფილმიდან (აქტივობა 45-46), ან უჩვენოს ფირი. ამ ყოველივეს მომდევნო გაკვეთილებიდან (II ეტაპიდან) მოყვება თანმიმდევრული ნაბიჯები, რომლებიც შეამზადებს მოსწავლეს აღნიშნული კომპლექსური დავალების შესასრულებლად.	• როგორ წარმოგიდგენიათ კომპლექსური დავალების შესრულება? ივარაუდეთ, რა ცოდნაა საჭირო დავალების შესასრულებლად? როგორი ხმებია გამოყენებული ანიმაციურ ფილმებში? რა განწყობას ქმნის ანიმაციური ხმები? როგორი პერსონაჟი წარმოგიდგებათ თვალწინ ასეთი ხმების მოსმენისას?	კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის – მარტივიდან რთულისაკენ – გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დაეხმარება.

აქტივობა 45-46 (**შუალედური**)

რესურსი: მასწავლებელმა თავად შეარჩიოს სასურველი სიმღერები ნაცნობი ნახატი ფილმებიდან და შეასწავლოს მოსწავლეებს.

კომენტარი:

თემაში შესვლისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, მასწავლებელს ვთავაზობთ, მოსწავლეებს შეასწავლოს რამდენიმე სიმღერა საყვარელი მულტიპლიკაციური ფილმებიდან. ვიდრე სიმღერების შესწავლას შეუდგება, გამართოს დიალოგი:

- გაიხსენეთ საყვარელი ნახატი ფილმები. რატომ გიყვართ ეს ფილმები?
- როგორი მუსიკა ჟღერს ამ ფილმებში?
- რომელიმე სიმღერა ხომ არ იცით? – სთხოვს, სურვილისამებრ, ინდივიდუალურად შეასრულონ სიმღერა.

ნახატი ფილმები ყველას გვიყვარს, რადგან მხიარულია, კეთილი, სასაცილო... მუსიკას ნახატ ფილმებში დიდი ადგილი ენიჭება, ის გვეხმარება ზღაპრის გმირების უკეთ გაცნობაში – უკეთ ვიგებთ მათ ხასიათს, განწყობილებას.

II ეტაპი
ნაბიჯი 1. ანიმაციური ფილმების ხმების ამოცნობა-აღწერა (აქტ. 47-48);
ნაბიჯი 2. ანიმაციური ფილმის ხმის ეფექტების აღწერილობის დაკავშირება ხმასთან და მოქმედებებთან (აქტ. 49-50);
ნაბიჯი 3. ანიმაციური ფილმის ილუსტრაციებისთვის მუსიკის შერჩევა (აქტ. 51-55);
ნაბიჯი 4. კომპლექსური დავალების შესსრულება-წარდგენა (აქტ. 56-60).

აქტივობა 47

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 20 „ხმები ანიმაციურ ფილმებში“); ხმოვანი ეფექტები №1,2,3,4,5, 6.

სამუშაო რვეულში მოსწავლეები ერთობლივად კითხულობენ/მასწავლებელი ესაუბრება კლასს:

– სიტყვა Anima ლათინურია და ნიშნავს „სიცოცხლის საწყისს“ ან „სულს“. ანიმაცია ნიშნავს ნახატის ან თოჯინის ერთგვარად გაცოცხლებას, სულის შთაბერვას. ვინაიდან ეს მხოლოდ გაცოცხლებული ნახატი ან თოჯინაა, პერსონაჟები ნაკლებად

გვანან ნამდვილ ცოცხალ არსებებს, ისინი თავისებურად, სასაცილოდ მოძრაობენ. ყოველივე კეთდება იმისთვის, რომ მაყურებელმა იხალისოს.

ბუნებრივია, ასეთი ფილმების გახმოვანების დროს ხმის რეჟისორები იყენებენ უცნაურ, არაბუნებრივ ხმებს, რომლებიც ანიმაციურ ფილმებს განსაკუთრებულ ხალისს სძენს.

მოისმინეთ აუდიოფირები. თქვენ მათ შორის უნდა ამოიცნოთ ის ხმები, რომლებიც მხოლოდ ანიმაციურ ფილმებში გამოიყენება გასახმოვანებლად. აი, ამ ✓ ნიშნით აღნიშნეთ იმ ხმების ნომრები, რომლებიც მხოლოდ ანიმაციურ ფილმში გამოიყენება:

1) ☐ 2) ☐ 3) ☐ 4) ☐ 5) ☐ 6) ☐

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რა განწყობას გიქმნით თქვენ მიერ შერჩეული ანიმაციური ხმები?
- რომელი პერსონაჟი წარმოგიდგათ თვალწინ ამ ხმების მოსმენისას?

ა) რა ზომისაა პერსონაჟი?

ბ) როგორი აღნაგობა აქვს (მსუქანი, წვრილი, გამხდარი);

გ) კეთილია/ბოროტია?

- რომელ ანიმაციურ აუდიომაგალითში ისმის მხოლოდ წვრილი, მაღალი რეგისტრის ხმები?
- რომელ აუდიომაგალითში მოისმინეთ ორი სხვადასხვა სიმაღლის ხმა – მაღალი-დაბალი?
- რომელ აუდიომაგალითში მოისმინეთ ბოხი, დაბალი რეგისტრის ხმა?
- რომელი აუდიო მაგალითი არ მონიშნეთ?
- რა ხმები ამოიცანით ამ მაგალითში?

აქტივობა 48

საკითხი: პერსონაჟებისთვის ხმების შერჩევა

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 21 „ანიმაციური პერსონაჟების ხმები“); აუდიოფირები № 1,2,3

მასწავლებელი ასმენინებს კლასს ხმებს და სთხოვს, სამუშაო რვეულში გამოსახულ სამ ანიმაციურ პერსონაჟს შეუსაბამონ. მოსმენილი ფირის ნომერი ჩაწერონ კვადრატში:

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელ პერსონაჟს შეურჩიეთ აუდიოფირი რიტმის მიხედვით? რატომ?
- რომელ პერსონაჟს შეურჩიეთ აუდიოფირი ხმის სიმაღლის მიხედვით? რატომ?
- როგორ ხასიათს სძენს პერსონაჟებს ხმების სიმაღლე?

აქტივობა 49

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 22 „ხმოვანი ეფექტები ანიმაციურ ფილმში“); აუდიოფირები №1,2,3,4.

სამუშაო რვეულებში მოსწავლეები კითხულობენ/მასწავლებელი საუბრობს:

ანიმაციურ ფილმში ყველაფერია შესაძლებელი, მაგალითად, შეიძლება დაირღვეს ბუნების ყველა კანონი და ცხოველები ადამიანებივით ორ ფეხზე დადიოდნენ, იღიმოდნენ, საუბრობდნენ... მკვრივი საგანი შეიძლება გაიწელოს ან გაბრტყელდეს, როგორც საღეჭი რეზინა და სხვა. ყველაფერი ეს კეთედება იმიტომ, რომ იმთავითვე, ანიმაციური კინოს მთავარი მიზანი მაყურებლის გახალისება, გაცინება იყო. შესაბამისად, მისი გახმოვანებაც ასეთივე სასაცილო და უჩვეულო უნდო ყოფილიყო.

ა) გაეცანით ანიმაციური ფილმის ხმის ეფექტების აღწერილობებს, შემდეგ კი მოუსმინეთ მათ და დაუკავშირეთ ერთმანეთს (ჩაწერეთ ხმის ეფექტის ნომერი სათანადო აღწერილობის გასწვრივ, მეორე სვეტის ცარიელ უჯრაში);

ბ) მოსწავლეებმა ხმოვანი ეფექტები და მათი აღწერილობები ხაზებით დაუკავშირონ მოქმედებებს (ცხრილში სწორი პასუხებია წარმოდგენილი):

ხმის ეფექტის აღწერილობა	**აუდიოფირი №**	**მოქმედებები**
მცირე შრაშუნი და აღმავალი, საფეხურებრივი მოძრაობა საშუალო რეგისტრის ბგერიდან მაღალ წვრილ ბგერამდე	№2	ფეხის გასმა და უეცარი გაქცევა
მაღალი (წვრილი) ბგერის დაცურება ზევიდან ქვევით	№4	დამუხრუჭება
მაღალი (წვრილი) ბგერის რამდენჯერმე გამეორება და სწრაფი რიტმი	№3	დარეტიანება და გაქცევა
დაღმავალი მოძრაობა მაღალი (წვრილი) ბგერიდან დაბალ (ბოხ) ბგერამდე	№1	ვარდნა

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი აღწერილობა და ხმოვანი ეფექტი დაუკავშირეთ ერთმანეთს? რატომ?
- რომელ აუდიოფირს დაუკავშირეთ მოქმედება „დამუხრუჭება“?
- აღწერეთ ხმის ეს ეფექტი;

• რომელ მოქმდებას დაუკავშირეთ არწერილობა: „დაღმავალი მოძრაობა მაღალი (წვრილი) ბგერიდან დაბალ (ბოხ) ბგერამდე“?

• როგორ ფიქრობთ, არის მსგავსება მოქმედების მოძრაობებსა და ხმის ეფექტებში ხმების მოძრაობებს შორის?

• წარმოიდგინეთ ეს მოძრაობები და გამოთქვით აზრი, თუ რა არის უფრო სასაცილო, თავად მოქმედებები თუ ხმის ეფექტები?

აქტივობა 50

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 23 „მუსიკა და პერსონაჟის მოქმედება“); ფირები №1,2,3,4,5,6.

ალბათ , მიაქცევდით ყურადღებას თუ როგორი გადაჭარბებულია (ან გაზვიადებული ?) პერსონაჟების მოძრაობები, მათი მოქმედებები. ამაში დიდი წვლილი სწორედ ხმის ეფექტებს მიუძღვის. ბუნებრივია, იგივე მოქმედებების გადმოცემა მუსიკითაც ხდება. მოდით, შევეცადოთ და გამოვიცნოთ, თუ რა სახის მოქმედებაა გადმოცემული ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მუსიკალურ ფრაგმენტებში. ამისათვის შეავსეთ ცხრილი, სადაც სათანადო მოქმედებას უნდა შეურჩიოთ მუსიკა:

პერსონაჟის/პერსონაჟების მოქმედებები	**ფირი №**
მხიარული მსვლელობა	
ჯადოსნური გარდასახვა – ბაყაყი ისევ მშვენიერ პრინცესად იქცა	
სიცილი	
პერსონაჟი განრისხდა	
საბურავი დაეშვა	
პერსონაჟმა გადაიხარხარა	

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

• რომელ მოქმედებას დაუკავშირეთ მეხუთე ნომრად გაჟღერებული მაგალითი?

• გაჟღერებული მაგალითებიდან ორში მუსიკალურად აღწერილია სიცილი, ერთში პერსონაჟი იცინის, ხოლო მეორეში პერსონაჟმა გადაიხარხარა. რომელ მაგალითში იცინის პერსონაჟი?

• თქვენი აზრით, ეს ბოროტი სიცილია თუ კეთილი, მხიარული? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე?

• სიცილს ფონად მუსიკა მიყვება, რამდენად უწყობს მუსიკალური თანხლება სიცილის ხასიათის განსაზღვრას – ისაუბრეთ ტემპზე, რეგისტზე, ტემბრზე;

• რომელი მუსიკალური მახასიათებლებით დაუკავშირეთ მუსიკალური მაგალითი განსრისხებას?

• რომელი მუსიკალური მაგალითი დაუკავშირეთ მხიარულ მსვლელობას? რატომ?

აქტივობა 51

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 24 „შევურჩიოთ მუსიკა ილუსტრაციას“); მუსიკალური ფირები № 1,2,3,4.

სამუშაო რვეულში მოსწავლეები ათვალიერებენ ნახატი ფილმების ილუსტრაციებს. მასწავლებელი ჩართავს ფირს და ფირის ნომერს ბავშვები უჯრაში ჩაწერენ:



სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- აქ გაჟღერებული მუსიკალური ფრაგმენტები ვოკალურ-ინსტრუმენტულია თუ ინსტრუმენტული? განმარტეთ, რას ნიშნავს ვოკალური და ინსტრუმენტული.
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მიუსადაგეთ პირველ ილუსტრაციას? ახსენით პასუხი:
- როგორია ამ სიმღერის რიტმი:

ა) მოძრავი და საცეკვაო;

ბ) მდორე და მშვიდი.

- დაახასიათეთ მელოდია:

ა) მღერადია/არამღერადია;

ბ) შეიცავს ხმაბაძვით ინტონაციებს.

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეიცავს მარშისებურ რიტმს?
- როგორი რეგისტრის ბგერები ისმის ამ სიმღერაში, დაბალი თუ მაღალი?
- მარშისებური რიტმი როგორ ხასიათს ანიჭებს ამ სიმღერას?
- ამ სიმღერაში, გარდა მუსიკალური ბგერებისა, ხმოვანი ეფექტები ჟღერს?
- მესამე ფრაგმენტში ვოკალი დაბალი რეგისტრის ბგერებს ასრულებს თუ მაღალი რეგისტრის?
- როგორ ფიქრობთ, ეს პერსონაჟი დადებითია თუ უარყოფითი? რა მინიშნება გაქვთ ამისთვის?
- რომელი გაჟღერებული სიმღერა წარმოადგენს უარყოფით პერსონაჟს?
- მუსიკის რომელი გამომსახველი საშუალება გვკარნახობს, რომ ეს პერსონაჟი ბოროტია?

აქტივობა 52-53

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 25 „თერძი ბესო“); ფრაგმენტები ნახატი ფილმიდან „თერძი ბესო“.

ა) სამუშაო რვეულში მოსწავლეებმა დაათვალიერონ ზღაპრის ილუსტრაციები – ნახატი ფილმიდან „თერძი ბესო“ (რეჟ. ლ. ფერნანდესი, კომპ. მ. დავითაშვილი). მოსწავლეებმა შეძლებისდაგვარად დაასათაურონ, ამისათვის კი უნდა აღწერონ ნახატები:

მასწ. – რას/ვის ხედავთ ნახატებზე?

– თქვენი აზრით, რას ეუბნება ერთი პერსონაჟი მეორეს?

– თქვენი აზრით, რომელი უნდა იყოს მთავარი პერსონაჟი? რატომ ფიქრობთ ასე?

– თქვენი აზრით, რას უნდა მიანიშნებდეს ქალბატონი პერსონაჟს თავისი გამომეტყველებით, ჟესტითა და მოძრაობით?

– როგორი საუბრობს ის (ქალბატონი): მშვიდად, გაწონასწორებულად თუ აღელვებულად? იქნება გაბრაზებულია?

სამუშაო რვეულში ილუსტრაციებს ტექსტიც ახლავს, რომელიც არეულად არის გაფანტული. მოსწავლეებმა ხაზით უნდა დაუკავშირონ ილუსტრაცია ტექსტს.

ბ) მასწავლებელი ასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს, რომლებიც ბავშვებმა უნდა შეუსაბამონ ტექსტებს:

	ფირი №
იყო ერთი კეთილი კაცი, თერძი ბესო. ის ქალაქის მაცხოვრებლებს ტანისამოსს უსასყიდლოდ უკერავდა...	
ერთხელ, როდესაც პატარა გოგონას კაბა შეუკერა და შემოსა...	
ბოროტმა ქალბატონმა თერძი ქალაქიდან გააძევა	
თერძმა ბესომ საფრთხობელა, სახელად ქაიხოსრო დაიმეგობრა... გაუდგნენ გზას სიმღერით...	
თერძმა ბესომ „წვიმის ქალაქი“ წვიმისაგან იხსნა... ბავშვები ბედნიერები არიან...	

გ) მასწავლებელი უჩვენებს კლასს ნახატ ფილმს, რის შემდეგაც მათ უნდა უპასუხონ კითხვებს:

- ზღაპრის შინაარსი რა ხერხებით არის გადმოცემული?

ა) მხოლოდ მუსიკით;

ბ) მხოლოდ ტექსტით;

გ) მუსიკითა და ტექსტით.

კომენტარი:

სამუშაო რვეულში განვათავსეთ ჩვენი მხატვრის მიერ მისებურად დანახული პერსონაჟები: თერძი ბესო, საფრთხობელა ქაიხოსრო, ქალბატონი, აგრეთვე აქტივობებში 54-55 უოლტ დისნეის ნახატი ფილმის პერსონაჟები.

აქტივობა 54-55

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 26 „მუსიკალური ქვეყანა“); აუდიო/ვიდეოფირები უ. დისნეის მულტფილმიდან „მუსიკალური ქვეყანა“.

მასწავლებელი უჩვენებს კლასს უ. დისნეის მულტფილმს „მუსიკალური ქვეყანა“ (9-წუთიანი ქრონომეტრაჟით).

სიმფონიის ქვეყნის პრინცესა ვიოლონჩელი მალულად ხვდება პრინც საქსოფონს ჯაზის კუნძულიდან. თუმცა, საიდუმლო შეხვდრების სიხარული დიდხანს ვერ გასტანს. განრისხებული დედოფალი შეყვარებულ საქსოფონს „კამერტონის“ ბნელ საპყრობილეში გამოკეტავს... იწყება ბრძოლა სიმფონიისა და ჯაზის ქვეყნებს შორის...

მოისმინეთ სამი მუსიკალური ფრაგმენტი, რომელთა აღწერილობა წარმოდგენილია ცხრილში. მიუწერეთ აღწერილობას შესაბამისი ფირის ნომერი; აღწერეთ, მუსიკის რომელი ელემენტი განაპირობებს მელოდიის ამგვარ ხასიათს.

ცხრილის შესავსებად კი გამოიყენეთ მინიშნებები:

ბგერის ტემბრები – უხეში, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო;

ბგერის სიძლიერე – ხმამაღალი, ხმადაბალი;

რიტმი – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო;

მელოდიის ხასიათი – იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი;

მელოდიის სახეობა – მღერადი, აღმავალი/დაღმავალი, მელოდია ნახტომებით, მელოდია მდორე მოძრაობით;

ტემპი – ნელი, ზომიერი, ჩქარი.

	მუსიკის ელემენტები					
მუსიკალური ფირის აღწერილობა	**ბგერის ტემბრები**	**ბგერის სიძლიერე**	**რიტ-მი**	**მელოდიის ხასიათი**	**მელოდიის სახეობა**	**ტემპი**
სიმფონიის ქვეყანა ფირი №						
ჯაზის კუნძული ფირი №						
პრინცი საქ-სოფონისა და პრინცესა ვი-ოლონჩელის დიალოგი ფირი №						

კომპლექსური დავალება №4

(**აქტივობა** 64-68)
(აღნიშნული დავალების შესრულებისა და წარდგენისათვის
გამოიყოს 4-5 საგაკვეთილო საათი)

კომპლექსური დავალების პირობა	**გრძელვადიანი მიზნები**
საკითხი: მუსიკით განწყობის შექმნა, მოვლენებისა და პერსონაჟების აღწერა. **პირობა:** I. დაათვალიერეთ ფილმების პოსტერები და ხასიათის მიხედვით განსაზღვრეთ, რა ჟანრის ფილმებია (სათავგადასავლო, კომედია, ფენტეზი). მოისმინეთ საუნდტრეკები და ჩასვით №1 ცხრილის სათანადო სვეტში გაჟღერებული საუნდტრეკის ნომერი. II. სამიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი ფილმის პოსტერი და განსაზღვრეთ, რას გადმოგვცემს მისი შესატყვისი საუნდტრეკი. ჩაწერეთ №2 ცხრილის სათანადო სვეტში შერჩეული ფილმის ჟანრი, საუნდტრეკის ნომერი, ხოლო მესამე სვეტში - გახმოვანების ხერხის უჯრაში - ჩასვით აი, ეს √ ნიშანი. წარდგენის დროს ახსენით, თუ მუსიკის რომელი მახასიათებლის საფუძველზე გამოიტანეთ ესა თუ ის დასკვნა. **პრეზენტაციის დროს წარმოაჩინეთ:** **1**.როგორ გადმოიცემა მუსიკის საშუალებით ამბავი საყმაწვილო კინოში? 2. როგორ ამოვიცნოთ მუსიკის საშუალებით ამბავი საყმაწვილო კინოში? 3· როგორ გადმოვცე მუსიკის საშუალებით საყმაწვილო კინოში გადმოცემული ამბავი? **დამხმარე რესუსი:** საუნდტრეკები კინოფილმებიდან „ბავშვის გასეირნება“; „დაუსრულებელი ამბავი“, „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“.	**სამიზნე ცნება -** მუსიკა **შედეგი1, 2, 4. 5**. **ქვეცნებები - მელოდიის სახეობა** (აღმავალი, დაღმავალი, მელოდია ნახტომებით,წყვეტილი, გაშლილი); **მელოდიის ხასიათი** (იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.); **მელოდია ხმაბაძვითი ინტონაციებით** **კეთილხმოვანი** (სასიამოვნო**) ჰარმონია** **არაკეთილხმოვანი** (არა სასიამოვნო) **ჰარმონია** **ქრომატიზმი; ბგერის ტემბრი** (უხეში, მჭახე, დახშული, წკრიალა, თბილი)**; სინთეზური ბგერა** (ელექტრონული ბგერა)**; რიტმი** (მოძრავი, ცოცხალი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური,) **<u>სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</u>** • მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის განწყობას, შინაარსს და იწვევს ჩვენში გარკვეულ განცდას; • ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია; • მუსიკალურ ნაწარმოებებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

პირობა:

დაათვალიერეთ ფილმების პოსტერები და ხასიათის მიხედვით განსაზღვრეთ, რა ჟანრის ფილმებია (სათავგადასავლო, კომედია, ფენტეზი). მოისმინეთ საუნდტრეკები და ჩასვით №1 **ცხრილის** სათანადო სვეტში გაჟღერებული საუნდტრეკის ნომერი.

ცხრილი №1

ფილმების პოსტერები	**საყმაწვილო კინოს ჟანრი**	**საუნდტრეკის ნომერი**
„ბავშვის გასეირნება“ 		
„ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“		
„დაუსრულებელი ამბავი“		

ახლა კი, სამიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი ფილმის პოსტერი და განსაზღვრეთ, რას გადმოგვცემს მისი შესატყვისი საუნდტრეკი. ჩაწერეთ №2 **ცხრილის** სათანადო სვეტში შერჩეული ფილმის ჟანრი, საუნდტრეკის ნომერი, ხოლო მესამე სვეტში – გახმოვანების ხერხის უჯრაში – ჩასვით აი, ეს ✓ ნიშანი.

წარდგენის დროს ახსენით, თუ მუსიკის რომელი მახასიათებლის საფუძველზე გამოიტანეთ ესა თუ ის დასკვნა.

ცხრილი №2

შერჩეული ფილმის ჟანრი	საუნდტრეკის ნომერი	რას გადმოსცემს გახ-მოვანების ხერხები?
		ეპიზოდის განწყობას ☐ პერსონაჟის განცდებს ☐ ეკრანზე გათამაშებულ მოქმედებას ☐

- თქვენ მიერ მოსმენილი სამი ფილმის საუნდტრეკიდან რომელი შეიძლება ჩავთვალოთ პერსონაჟის დახასიათებად, მისი განცდების გადმოცემად? რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორ არის დახასიათებული მუსიკით ეს პერსონაჟი?
- რომელ საუნდტრეკში მიამსგავსეთ მუსიკა შოკოლადის დამამზადებელი ქარხნის მექანიკურ ხმებს?
- მუსიკის რომელი ელემენტი ქმნის ამგვარ ჟღერადობას?
- როგორი რიტმი აქვს მუსიკას?

ა) ოსტინატური რიტმი;

ბ) მშვიდი რიტმი.

- რომელი ფილმის საუნდტრეკში არის ყველაზე მკაფიოდ გადმოცემული პოსტერის შინაარსი?
- რომელი საუნდტრეკი მოგეჩვენათ ყველაზე სასიხარულოდ და იმედის მომგვრელად?
- რომელი საუნდტრეკი იყო ყველაზე სევდიანი?
- რომელ პოსტერს დაუკავშირეთ ეს საუნდტრეკი?
- თქვენ მიერ შერჩეული ფილმის საუნდტრეკში გახმოვანების რომელი ხერხია გამოყენებული?

ა) ეპიზოდის განწყობა;

ბ) პერსონაჟის განცდები;

გ) ეკრანზე გათამაშებული მოქმედება.

რას ვაფასებთ?

აღწერა
პოსტერის ხასიათის მიხედვით განსაზღვრავს ფილმის ჟანრს.
შეურჩევს პოსტერს საუნდტრეკს.
აღწერს თავისი სიტყვებით პოსტერისთვის შერჩეული საუნდტრეკის განწყობას.
ავსებს ცხრილს პირობის თანახმად.
ახსნა
ხსნის თავის არჩევანს, თუ რატომ შეურჩია/მიუსადაგა კონკრეტული საუნდტრეკი კონკრეტულ პოსტერს (არგუმენტის დროს მიზნობრივად იყენებს სათანადო ლექსიკას).
ხსნის თუ რას გადმოსცემს ფილმის გახმოვანების ხერხები - ეპიზოდის განწყობას, პერსონაჟის განცდებს თუ ეკრანზე გათამაშებულ მოქმდებას.
შეფასება
წარდგენის დროს საუბრობს, თუ მუსიკის რომელი მახასიათებლის საფუძველზე გამოიტანა ესა თუ ის დასკვნა.
გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას შერულებულ დავალებასთან მიმართებით.

პრაქტიკული რჩევები – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები

I ეტაპი (კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა)

	რა აქტივობებს განვახორციელებთ	**რა კითხვებზე ვმუშაობთ?**	**რა კავშირშია კომპლექსურ დავალებასთან?**
I ეტაპი კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა	**ნაბიჯი (აქტივობა) 1.** **მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, აგრეთვე ცხრილის წარდგენა** თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით, და აგრეთვე იმისათვის, რომ დავაფიქროთ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე მარტივ აქტივობას, მაგალითად, საწყის ეტაპზე მასწავლებელი გაესაუბრება კლასს; – ყოველივეს მომდევნო გაკვეთილებიდან (II ეტაპიდან) მოყვება თანმიმდევრული ნაბიჯები, რომლებიც შეამზადებს მოსწავლეს აღნიშნული კომპლექსური დავალების შესასრულებლად.	• რას ნიშნავს აქტიური/პასიური დასვენება? • როგორი მუსიკა მოუხდება აქტიურ/პასიურ დასვენებას? • როგორ წარმოგიდგენიათ კომპლექსური დავალების შესრულება? • ივარაუდეთ, რა ცოდნაა საჭირო დავალების შესასრულებლად?	კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის – მარტივიდან რთულისაკენ – გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დახმარებას გაუწევს.

II ეტაპი
ნაბიჯი 1. როგორ ხდება მუსიკით პერსონაჟის თითოეული მოძრაობის გადმოცემა (აქტ. 61);
ნაბიჯი 2 ვიზუალური რიგის გარეშე მუსიკალური გაფორმების ხერხების ამოცნობა სხვადასხვა ჟანრის საყმაწვილო კინოში (აქტ. 62- 63);
ნაბიჯი 3. კომპლექსური დავალების შესრულება-წარდგენა (აქტ. 64-68).

აქტივობა 61

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 28 „მიკიმაუსინგი“); ვიდეოფირები ანიმაციური ფილმებიდან.

ინფორმაცია:

ანიმაციაში მოძრაობების გახმოვანება არა მხოლოდ ხმებით და ხმაურით, არამედ ბგერით, მელოდიით, რიტმით, ჰარმონიითაც შეიძლება.

მუსიკით პერსონაჟების თითოეული მოძრაობის გადმოცემა პირველად გამოჩენილმა ამერიკელმა ანიმატორმა, **უოლტ დისნეიმ** გამოიყენა. გახმოვანების ამ ხერხს კი დისნეის ყველაზე საყვარელი პერსონაჟის, მისი სტუდიის ერთგვარი სახის, **მიკი მაუსის,** სახელის მიხედვით **<u>მიკიმაუსინგი</u>** უწოდეს.

მიკიმაუსინგის ხერხით ანიმაციური ფილმების გახმოვანება მოგვიანებით ბევრმა ანიმატორმა განახორციელა.

გარკვეული დროის შემდეგ ანიმაციური ფილმების შინაარსი და ხასიათიც შეიცვალა. ანიმაციაში პერსონაჟების არა მხოლოდ მოქმედების, არამედ მათი ხასიათის, განცდების, განწყობების გადმოცემა დაიწყეს. ამით ანიმაციური ფილმების შინაარსი უფრო გამდიდრდა. ისინი მხატვრულ ფილმებს დაემსგავსნენ. გაჩნდა დიდი სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმები, გართულდა სიუჟეტიც, გართულდა პერსონაჟებიც. საჭირო გახდა გახმოვანების დროს ახალი მუსიკალური ხერხების გამოყენება. ამიერიდან მუსიკალურ გახმოვანებას დაეკისრა ასევე პერსონაჟების დახასიათება, ფილმის ზოგადი ან ცალკეული ეპიოდების განწყობის გადმოცემა.

მასწავლებელი შესთავაზებს კლასს ამ ხერხების ამოცნობას ანიმაციური ფილმების გახმოვანებაში.

უჩვენებს სამ ეპიზოდს სხვადასხვა ანიმაციური ფილმიდან. სამუშაო რვეულში ამ ფილმებიდან მოცემული კადრის ქვეშ არის დასახელებული გახმოვანების სამი ხერხი. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ, რა ხერხით არის გახმოვანებული ფილმის ეპიზოდი და ჩასვან ნიშანი √ სათანადო გახმოვანების დასახელების წრეში:



- ☐ მუსიკა გადმოსცემს თითოეულ მოძრაობას
- ☐ მუსიკა გადმოსცემს ეპიზოდის განწყობას
- ☐ მუსიკა ახასიათებს პერსონაჟებს

- ☐ მუსიკა გადმოსცემს თითოეულ მოძრაობას
- ☐ მუსიკა გადმოსცემს ეპიზოდის განწყობას
- ☐ მუსიკა ახასიათებს პერსონაჟებს

- ☐ მუსიკა გადმოსცემს თითოეულ მოძრაობას
- ☐ მუსიკა გადმოსცემს ეპიზოდის განწყობას
- ☐ მუსიკა ახასიათებს პერსონაჟებს

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- თქვენი აზრით, რომელი ეპიზოდის მუსიკალური გაფორმება გადმოსცემს რაღაც განცდას და რა განცდაა ეს? (შეარჩიეთ პასუხი)

➢ შიშის;
➢ ხიფათის (რაღაც ცუდი უნდა მოხდეს);
➢ მხიარულების;
➢ ბედნიერების;
➢ სხვა.

- თქვენი აზრით, არის თუ არა პრინცესა ვიოლონჩელი და პრინცი საქსოფონი მუსიკალურად დახასიათებული? თუ არიან, როგორ არიან ისინი დახასიათებული?
- რომელი ეპიზოდია **მიკიმაუსინგის** ხერხით გახმოვანებული?
- რა მოქმედებებია გადმოცემული მუსიკით?
- რა მუსიკალური ხერხებით (ბგერით, რიტმით, მელოდიით, თუ ჰარმონიით) არის გადმოცემული სხვადასხვა პერსონაჟების მოძრაობა?
- რომელ ეპიზოდში ახასიათებს მუსიკა პერსონაჟს?
- როგორი ხასიათის მუსიკაა ამ ეპიზოდში? (აირჩიეთ პასუხი)

➢ პირქუში;
➢ მხიარული;
➢ სარკასტული (დამცინავი);
➢ სხვა.

- როგორ ფიქრობთ, რატომ არის ეს პერსონაჟი მუსიკალურად ასე დახასიათებული?
- რომელი მუსიკალური გახმოვანება მოგეწონათ ყველაზე მეტად? რატომ?
- გაგიჭირდათ თუ არა **მიკიმაუსინგის** ხერხით გახმოვანების ამოცნობა?
- რომელი გახმოვანება მოგეჩვენათ ყველაზე სასაცილოდ? რატომ?
- რომელი გახმოვანება მოგეჩვენათ ყველაზე საინტერესოდ? რატომ?
- რომელიმე მუსიკალური გახმოვანება მოგეჩვენათ ყველაზე მელოდიურად (ანუ მუსიკალურ თანხლებაში კარგად არის გამოკვეთილი გაშლილი მელოდია)?
- რომელ მუსიკალურ თანხლებაში ჟღერს ეს ინსტრუმენტი? (ასმენინებს საქსოფონის ჟღერადობას)

- როგორ დაახასიათებდით ამ ინსტრუმენტის ბგერას? (შეარჩიეთ პასუხი)

➢ ნაზი, წვრილი ხმა;
➢ ბოხი, პირქუში, მძიმე;
➢ საშუალო სიმღლის სავსე, ხავერდოვანი (თბილი სასიამოვნო);
➢ სხვა;

- თქვენი აზრით, კიდევ რომელ ანიმაციურ პერსონაჟს დაახასიათებდით ამ მუსიკალური ინსტრუმენტით?

აქტივობა 62

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 29 „მუსიკალური გაფორმების ხერხები“); საუნდტრეკები ფირი №1,2,3.

მოსწავლეებმა მუსიკალური გაფორმების ხერხი ვიზუალური რიგის გარეშე უნდა ამოიცნონ. როგორც წესი, ამ ეტაპზეც არ არის მნიშვნელოვანი პასუხის სისწორე. მოსწავლეები დააკვირდებიან, იმსჯელებენ, შეეცდებიან საკუთარი ინტერპრეტაციის წარმოჩენას:



სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი საუნდტრეკია შექმნილი **მიკიმაუსინგის** ხერხით შექმნილი? (დაასახელეთ ნომერი)
- როგორ გამოიცანით?
- არის ამ საუნდტრეკში გაშლილი, მღერადი მელოდია? როგორ ფიქრობთ, რატომ არის ასე?
- როგორ ფიქრობთ, რა მოძრაობებია მუსიკით გადმოცემული? შეგიძლიათ გაითამაშოთ?
- რომელი საუნდტრეკი არის ყველაზე მელოდიური? (დაასახელეთ ნომერი)
- თქვენი აზრით, რას გადმოსცემს ეს საუნდტრეკი – პერსონაჟს ახასიათებს? ეპიზოდის განწყობას გადმოსცემს თუ თითოეულ მოძრაობას ?
- როგორ დაახასიათებდით ამ საუნდტრეკს? (შეარჩეთ პასუხი)

- ➢ პირქუში;
- ➢ სევდიანი;
- ➢ სიხარულით სავსე;
- ➢ საშიში;
- ➢ სხვა.

- მოიფიქრეთ, რა შეიძლება ხდებოდეს ეკრანზე ამ მუსიკის ფონზე? (მოიფიქრეთ პერსონაჟი, რა შეემთხვა და რას აკეთებს)
- რომელი საუნდტრეკი ახასიათებს პერსონაჟს?
- რა პერსონაჟს აირჩევდით ამ მუსიკის მოსმენისას? რატომ შეარჩიეთ ასეთი პერსონაჟი?

აქტივობა 63

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 30 „საყმაწვილო კინოს გახმოვანება“); აუდიოფირები № 1,2,3,4.

როგორც უკვე ვთქვით, ანიმაციური ფილმების შინაარსის გართულებამ ფილმის გახმოვანების ახალი ხერხების გამოყენება მოითხოვა.

ასევეა საყმაწვილო ფილმების გახმოვანებაშიც – სწორედ ეს ახალი ხერხებია გამოყენებული. და მაინც, რით განსხვავდება საყმაწვილო ფილმი უფროსების ფილმისგან?

I. მოსწავლეები სამუშაო რვეულში ათვალიერებენ ფილმის პოსტერებს და ერთობლივად არკვევენ, რომელი პოსტერია საყმაწვილო და რომელი – უფროსების ფილმისთვის. ამისათვის შეავსებენ ცარიელ უჯრებს: „უ“ (უფროსების) და „ს“ (საბავშვო):

1.

2.



3.

4.

ინფორმაცია:

მერი პოპინსი (**რეჟ. რ. სტივენსონი**) – ბენქსების ოჯახი თავისი ბავშვებისთვის ძიძას ეძებს. და, როგორც ყოველთვის ხდება მხოლოდ ზღაპარში, ის არსაიდან გაჩნდება – მშვენიერი, მომხიბვლელი, რომელიც არავის ჰგავს. ისეთი, როგორზეც ნებისმიერი მშობლები იოცნებებდნენ. ასეთ ძიძას არ აქვს ნაკლი, რადგან ის – ზღაპრულია.

ტიტანიკი (**რეჟ. ჯ. კამერონი**) – ფილმში წარმოდგენილია გამოგონილი ისტორია გემის, ტიტანიკის, მგზავრების ტრაგიკული დაღუპვისა და ამ ფონზე ორი პერსონაჟის სიყვარულის შესახებ.

მანანა (**რეჟ. ზ. გუდავაძე და შ. მარტაშვილი**) – ფილმი ერთი ჩვეულებრივი ანცი გოგონას ეშმაკობებით სავსე თავგადასავალს მოგვითხრობს, რომელიც თავის ნებაზე ათამაშებს სიყვარულით დაბრმავებულ მოხუც ბებიასა და ბაბუას, ტყუილებით თავგზას უბნევს გარშემო მყოფთ. მაგრამ ბუნებით კეთილი და გონიერი ბავშვი მალე თვითონვე ხვდება, რომ უსიამოვნებებს აყენებს ყველას და პირობას დებს, რომ ამიერიდან სამაგალითო მოსწავლე გახდება.

ჰარი პოტერი (**რეჟ. კ. კოუმბი; ა. კუარონი; მ. ნიუელი; დ. იეტრი**) – ახალგაზრდა ჯადოქრის თავგადასავლებს ასახავს – უცნაური თვისებების მქონე ობოლ ბიჭზე, ჰარი პოტერზე. ჰარი მეგობრებთან ერთად ებრძვის ბოროტებას, ის მამაცია და გაბედული.

ვფიქრობთ, თუკი მასწავლებელი სამუშაო რვეულში წარმოდგენილი ფილმების პოსტერებს მოკლე ანოტაციას დაურთავს, მოსწავლეებს არ გაუძნელდებათ განსაზღვრონ, რომელი პოსტერი განეკუთვნება უფროსების ფილმს და რომელი – საყმაწვილოს.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რის მიხედვით განასხვავეთ უფროსების და საბავშვო ფილმების პოსტერები?
- როგორ ფიქრობთ, პოსტერი №3 რა ჟანრის ფილმისთვისაა? (შეარჩიეთ სავარაუდო პასუხი)
  - კომედია;
  - სათავგადასავლო;
  - საოჯახო დრამა;
  - ფენტეზი;
  - სხვა.
- რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელ კინოს მიეკუთვნება ამ პოსტერით წარმოდგენილი ფილმი, საყმაწვილოა თუ უფროსებისთვის განკუთვნილი?
- თუ ამ პოსტერებით ვიმსჯელებთ, ძირითადად რა ჟანრებია წარმოდგენილი საყმაწვილო კინოში?

ინფორმაცია:

კომედია არის ჟანრი, რომლის მიზანია მაყურებელში სიცილის გამოწვევა;

ფანტასტიკა არის ჟანრი, სადაც აღწერილია მომავალი ან ჩვენთვის უცნობი სამყარო;

დრამა არის ჟანრი, სადაც ხშირ შემთხვევაში გმირი იღუპება;

საშინელებათა ფილმი არის ჟანრი, სადაც მთავარია მაყურებლის შიშის გამოწვევა;

მელოდრამა არის ჟანრი, სადაც ყველაფერი კარგად (happy end-ით) მთავრდება;

ბიოგრაფიული არის ჟანრი, სადაც ცნობილი ადამიანის ცხოვრებაა აღწერილი.

II. მასწავლებელი ასმენინებს კლასს მუსიკალურ მაგალითებს და სთხოვს, ამოიცნონ, რომელი საუნდტრეკია საყმაწვილო ფილმებისთვის და რომელი – უფროსებისთვის. ჩაწერონ მუსიკალური მაგალითების ნომრები ცხრილის სათანადო უჯრაში.

საყმაწვილო კინო	**კინო უფროსებისთვის**
ფირი №	**ფირი** №

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რა აქვთ საერთო საყმაწვილო ფილმების საუნდტრეკებს?
- მოსმენილთაგან, რომელი საუნდტრეკი შეიძლება ჩავთვალოთ <u>პერსონაჟის დახასიათებად?</u> რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორ არის დახასიათებული მუსიკით ეს პერსონაჟი?
- რომელ საუნდტრეკშია ყველაზე მკაფიოდ გადმოცემული პოსტერის <u>შინაარსი?</u>
- რომელი საუნდტრეკი მოგეჩვენათ ყველაზე სასიხარულო და იმედის მომგვრელად?
- რომელ საუნდტრეკს დაუკავშირებდით სუპერძიძა მერი პოპინსისა და მისი აღსაზრდელების მხიარულ ცეკვას?
- რომელი საუნდტრეკი იყო ყველაზე სევდიანი?
- რომელ პოსტერს დაუკავშირეთ ეს საუნდტრეკი?
- გააკეთეთ დასკვნა: მუსიკალური გაფორმების რა ხერხებია გამოყენებული წარმოდგენილი საყმაწვილო ფილმების საუნდტრეკებში – ეპიზოდის ან მთლიანი ფილმის განწყობა თუ პერსონაჟის დახასიათება? ახსენით პასუხი.

საუნდტრეკს უწოდებენ კინოფილმის, სპექტაკლის, ტელეგადაცემის, კომპიუტერული თამაშის მუსიკას.

კინოში საუნდტრეკს კიდევ ხმის ბილიკსაც უწოდებენ.

VIII – ელექტრონული რესურსის ჩამონათვალი
აუდიო/ვიდეოფირები

1. მუსიკალური ქუდები: „ბასტი-ბუბუ“, „ეკივოკი“; „ტელეღიპუცები“; „ჟირაფი ჟოზე“; „ბაბილინას ზღაპრები“;
2. ფ. ტარეგა – Gran Vals;
3. ა. ვივალდი – „გაზაფხული“, სავ. კონცერტების ციკლიდან „წელიწადის დრონი“;
4. ბ. ინო – „აეროპორტის მუსიკა“;
5. ე. სატი – „ავეჯის მუსიკა“;
6. იმერული მგზავრული;
7. „ტიტანიკი“ – საუნდტრეკი;
8. „მერი პოპინსი“ – საუნდტრეკი;
9. „ჩარლი შოკოლადის ქარხანაში“ – საუნდტრეკი;
10. „ბავშვის გასეირნება“ – საუნდტრეკი;
11. „დაუსრულებელი ამბავი“ – საუნდტრეკი;
12. „მარტო სახლში“ – საუნდტრეკი;
13. „ჰარი პოტერი“ – საუნდტრეკი;
14. „მანანა“ – სიმღერა , მ. დავითაშვილი.
15. „ტომი და ჯერი“ – მუსიკალური ფრაგმენტები;
16. „მაუგლი“ – მუსიკალური ფრაგმეტები;
17. „ვარდისფერი პანტერა“ – მუსიკალური ფრაგმენტები;
18. „თერძი ბესო“ – მუსიკალური ფრაგმენტები;
19. „მუსიკალური ქვეყანა“ – მუსიკალური ფრაგმენტები.

ხმა-სემპლები

1. მარიმბა;
2. ქსილოფონი;
3. ვიბროფონი;
4. საქსოფონი;
5. ქართული ხალხური საკრავები (სალამური, ფანდური);
6. ხმოვანი ეფექტები ანიმაციური ფილმებისთვის;
7. „დაჭრილი“ აუდიოფირები კომპოზიციის შესაქმნელად.

მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი

არანჟირება (გადამუშავება) – მუსიკალური კომპოზიციის მორგება შემსრულებლების სხვა შემადგენლობისათვის.

Assai (ასაი) – საკმაოდ, საკმარისად, ძალიან.

Attacca (ატაკა) – გადააბი. მითითება რაიმე ნაწილის შემდეგ, რომელიც ნიშნავს შეუსვენებლივ შესრულებას.

A tempo (ა ტემპო) – წინა ტემპში. პირვანდელი ტემპის დაბრუნება.

Bel canto (ბელ კანტო) – მშვენიერი სიმღერა. 1. იტალიურ ოპერასთან დაკავშირებული სიმღერის მანერა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტექნიკური სრულყოფა და ბგერათწარმოთქმის სილამაზე.

Beat (ინგლ.) – რიტმული პულსაცია, რიტმული აქცენტირება.

გამა, **ბგერათრიგი** – ბგერების ერთობლიობა, რომელიც მიეკუთვნება რაიმე კილოურ სისტემას და განსაზღვრული რიგის მიხედვით არის განლაგებულნი (აღმავალი და დაღმავალი მოძრაობის შემთხვევაში, როგორც წესი, გამის სახით).

გარეტაქტი – მუსიკალური ნაწარმოების დაწყება სუსტ დროზე.

გასაღები – სანოტო სისტემის დასაწყისში დაწერილი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს მომდევნო სანოტო ჩანაწერის სიმაღლებრივ მდებარეობას (მაგ., ბანის, ვიოლინოს, ალტის და ა. შ.).

გუნდი – მომღერალთა ჯგუფი, რომელიც დანაწევრებულია ოთხ პარტიად (სოპრანოები, ალტები, ტენორები და ბანები).

Da capo (და კაპო) – „თავიდან"; მითითება პიესის ან ნაწარმოების ნაწილის თავიდან გამეორებაზე; შემოკლ. D.C.

ელექტრონული მუსიკა – არა მარტო სინთეზატორით, არამედ ნებისმიერი ხმა წარმოებული ელექტრონული სიგნალის მიერ შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს როგორც ელექტრონული , პირველ რიგში კომპიუტერით.

ენჰარმონიზმი – თანაბარი ტემპერაციის პირობებში ერთი და იმავე ბგერის ჩაწერა სხვადასხვა ხერხით: მაგალითად, ლა დიეზი და სი ბემოლი.

ვარირება – კომპოზიციის ხერხი, რომლის დროს პირველად გადმოცემული მასალა გამეორებისას განიცდის ცვლილებებს.

Vivace (ვივაჩე) – ცოცხლად, სწრაფად, ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი.

ვოკალიზი – 1) სიმღერა ხმოვან ბგერებზე (ვოკალური სავარჯიშო); 2) ნაწარმოები ხმისა (უსიტყვო) და თანხლებისათვის.

იმიტაცია – მუსიკალური აზრის ზუსტი ან ნაწილობრივ შეცვლილი გამეორება პოლიფონიური ფაქტურის სხვადასხვა ხმაში.

ინტერვალი – მუსიკალური და მათემატიკური (აკუსტიკური) მანძილი ორ ტონს შორის. ინტერვალი შეიძლება იყოს მელოდიური, როდესაც ტონები იღება მიმდევრულად და ჰარმონიული, როდესაც ტონები ჟღერს ერთდროულად.

Cantabile (კანტაბილე) – შესრულების მღერადი, გამართული სტილი.

კანტილენა – ლირიკული, მღერადი ხასიათის ვოკალური ან ინსტრუმენტული მელოდია.

Cantus firmus (ლათ.) (კანტუს ფირმუს) – წამყვანი მელოდია, რომელიც პოლიფონიური კომპოზიციის საყრდენს წარმოადგენს.

Cantus planus (ლათ.) (კანტუს პლანუს) – გრილორისეული ქორალისთვის დამახასიათებელი რიტმულად მშვიდი ერთხმიანი გალობა.

კონსონანსი – ორი ან მეტი ტონის კეთილხმოვანი ჟღერადობა. კონსონანსის კონცეფცია სხვადასხვა ეპოქისა და სტილის მუსიკაში იცვლებოდა.

კონტრალტო – რეგისტრულად ქალის ყველაზე დაბალი ხმა.

კონტრაპუნქტი – რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ერთდროული შეხამება. ფართო გაგებით, კონტრაპუნქტი იგივეა, რაც პოლიფონია.

კონტრაფაგოტი – დიდი ფაგოტი, რომელიც ჩვეულებრივ ფაგოტზე ოქტავით ქვემოთ უკრავს.

კონტრტენორი – მამაკაცის ძალიან მაღალი ხმა (ტენორზე მაღალი).

Crescendo (კრესშენდო) – დინამიკის აღნიშვნა: ხმის სიმაღლის თანდათან გაძლიერება.

კოჭა – ძველებური ქართული ცეკვა. როკვაა ბუქსანავით (ს. ს. ორბელიანი).

კრაკოვიაკი – კრაკოვის მცხოვრებთა ცეკვა, ერთ-ერთი პოლონური ეროვნული ცეკვა.

კრიმანჭული – დასავლეთ საქართველოს (გურია, აჭარა) მრავალხმიანი ხალხური სიმღერების ზემო ხმა, მდიდარი მელოდიური ნახტომებით, ორნამენტიკით.

კრინი – მაღალი, ვარირებული ხმის ქართული სახელწოდება.

ლაიტმოტივი – მელოდიური, რიტმული, ჰარმონიული მოტივი, რომელიც ასოცირდება პერსონაჟთან, დროსა და მოქმედების ადგილთან. ლაიტმოტივის ტექნიკას იყენებდა რ. ვაგნერი თავის ოპერებში.

ლეკური – სწრაფი, ტემპერამენტული ლეკური ხალხური ცეკვა ორწილად ზომაში, ასრულებს სოლისტი მამაკაცი, აგრეთვე ქალისა და მამაკაცის წყვილი.

ლენდლერი – გერმანიასა და ავსტრიაში გავრცელებული ხალხური წყვილთა წრიული ცეკვა სამწილად ზომაში.

Lento (ლენტო) – ტემპის აღნიშვნა: ნელა.

მაჟორი და მინორი – ტერმინები გამოიყენება: 1) გარკვეული ინტერვალების ხარისხის განსაზღვრისას, მაგ., ტერცია შეიძლება იყოს მაჟორული, ან დიდი (დო-მი) და მინორული, ან პატარა (დო-მი-ბემოლ); 2) ორი ძირითადი სახის სამხმოვანების აღნიშვნისას: სამხმოვანება, რომლის პირველი ტერცია მაჟორულია – მაჟორულია (დო-მი-სოლ), ხოლო სამხმოვანება, რომლის ფუძე მინორული ტერციაა – მინორულია (დო-მი-ბემოლ-სოლ); 3) 1700 წ.-ის შემდეგ ევროპულ მუსიკაში ორი ყველაზე გავრცელებული ბგერათრიგის აღსანიშნავად – მაჟორული (დიდი ტერციით I და III საფეხურებს შორის) და მინორული (პატარა ტერციით I და III საფეხურებს შორის).

მაზურეკი – 1. პოლონეთის მაზოვიაში მცხოვრები მაზურების ცეკვა; 2. მუსიკალური ნაწარმოები ამ ცეკვის ფორმით (შოპენის მაზურკები).

მანუალი – ორგანის და კლავესინის კლავიატურა.

Marcato (მარკატო) – გამომსახველობის აღნიშვნა: ხაზგასმით, გამოყოფით.

მელოდია – მუსიკალური აზრი, რომელიც ერთ ხმაშია გადმოცემული და აქვს განსაზღვრული სიმაღლებრივი და რიტმული კონტურები.

Meno (მენო) – „ნაკლებად"; meno mosso (მენო მოსო) – ტემპის აღნიშვნა ნაკლები სიჩქარით.

მენუეტი – ფრანგული ცეკვა სამწილად ზომაში.

Moderato (მოდერატო) – ტემპის აღნიშვნა: ზომიერად, andante-სა და allegro-ს შორის.

მოდულაცია –მაჟორულ-მინორულ სისტემაში ტონალობის შეცვლა.

Molto (მოლტო) – ძალიან; ტემპის აღნიშვნა: molto adagio – ძალიან ნელა.

მონოდია – სოლო ან ერთხმიანი საგუნდო სიმღერა აკომპანემენტის გარეშე.

მოტივი – მოკლე მელოდიკო-რიტმული ფიგურა, მუსიკალური ნაწარმოების ფორმის ყველაზე მცირე დამოუკიდებელი ერთეული.

მოძახილი – საგუნდო სიმღერის დასაწყისი, რომელსაც ასრულებს მოძახილის მთქმელი ან მომღერალთა მცირე ჯგუფი, რის შემდეგაც სიმღერას მთელი გუნდი აიტაცებს.

ნადი – შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც აგებულია ურთიერთდახმარების შრომა-მიგებით პრინციპზე. ნადს იწვევდნენ, როგორც მიწის სამუშაოების (ხვნა, თესვა, ბარვა და სხვ.), ისე სახლის მშენებლობისა და სხვა ერთდროული შრომატევადი სამუშაოების დროს.

Perpetuum mobile (პერპეტუმ მობილე) (ლათ. „მუდმივი მოძრაობა") – პიესა, რომელიც თავიდან ბოლომდე აგებულია ჩქარ, უწყვეტ, რიტმულ მოძრაობაზე.

Pianissimo (პიანისიმო) – ძალიან ჩუმად; შემოკლ.: ***pp***.

Piano (პიანო) – ჩუმად; შემოკლ.: ***p***.

Piu (პიუ) – უფრო მეტად; piu allegro – ტემპის აღნიშვნა: უფრო ჩქარა.

Pizzicato (პიციკატო) – წკმეტით: შესრულების ხერხი სიმებიან საკრავებზე.

Portamento (პორტამენტო) – მელოდიის მღერადად შესრულების განსაკუთრებული მანერა.

Portato (პორტატო) – შესრულების სახეობა legato-სა და staccato-ს შორის.

რიტმი – მუსიკის ორგანიზაცია დროში; კონკრეტულად – ბგერების გრძლიობების თანმიმდევრობა.

როკოკო – მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის მხატვრული მიმართულება, რომელმაც განვითარება ჰპოვა უმთავრესად არქიტექტურაში. მუსიკაში მისთვის დამახასიათებელია ორნამენტული მოტივების სიუხვე, მელოდიური ხაზების იკლიკანტურობა.

სამწილადი მეტრი, **ზომა** – ზომა, რომლისთვის ტიპურია თითოეულ ტაქტში (3/4, 3/2) ერთი ძლიერი და ორი სუსტი წილის არსებობა.

სანოტო სისტემა – სანოტო დამწერლობაში ხუთი ჰორიზონტალური ხაზის ერთობლიობა

სინკოპა – აქცენტის გადატანა ძლიერი წილიდან სუსტზე.

სინთეზატორი – ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტი.

სკერცო – სიტყვასიტყვით ხუმრობა. პიესა ან ციკლის ნაწილი ჩქარ ტემპში.

Staccato (სტაკატო) – მოწყვეტით. ბგერის მიღების მანერა. Staccato.

თემა – მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი მუსიკალური აზრი; ხშირად ეს ტერმინი ფუგის მთავარი თემის, აგრეთვე სონატური ფორმის მთავარი პარტიის აღსანიშნავად გამოიყენება.

ტემბრი – ადამიანის ხმის ან ინსტრუმენტის სპეციფიკური შეფერილობა.

ტემპი – მუსიკის მოძრაობის სიჩქარე.

ტენორი – 1) ოთხხმიან წყობაში ქვევიდან მეორე პარტია; 2) მამაკაცის მაღალი სასიმღერო ხმა.

ფრაზა – მელოდიის ფრაგმენტი, რომელიც თავისი დანიშნულებით უთანაბრდება სამეტყველო წინადადებას.

ქრომატიზმი – კილოს დიატონური საფეხურების შეცვლა ნახევარტონით.

ჩონგური – ქართული საწკმეტი საკრავი.

ჭუნირი – ქართული ხალხური ხემიანი საკრავი, გავრცელებულია სვანეთში.

ხმა – 1) ბგერა, რომელსაც გამოსცემს ადამიანის იოგები; 2) ინსტრუმენტული ან ვოკალური ნაწარმოების მელოდიური ხაზი ან კონკრეტული ნაწარმოების ფაქტურის ნაწილი.

ჯაზი – მე-20 საუკუნის მუსიკალური სტილი, წარმოიშვა აშშ- ში; ჯაზის საფუძველს წარმოადგენს ფერადკანიანთა ხალხური მუსიკალური შემოქმედების იმპროვიზაციული ფორმები.

Giocoso (ჯოკოზო) – მხიარული, კეკლუცი.

მ. დავითაშვილი

მანანას სიმღერა

ტექსტი **პ. გრუზინსკი**

Allegro

f

ჯუნდი

მი-ყვარს ხტუნ – ვა, თა – მა – ში,

თა — მა — ში, ყვე-ლა-ფერ- ზე ძა – ლი – ან,

ძა — ლი — ან. მო — სა – წყე – ნად, მით- ხა -რით,

ა – ბა სა – და მცა – ლი – ა, დე – ლი, დე-ლა დე-ლა – სა

გუნდი

და. ჩი — ტებს მი — უ—

– სიმ – ღე – რებ, ჭიკ — ჭიკ, ჭიკ — ჭიკ. მერც— ხა — ლო!


მა — ნა - ნა ვარ ი — ცო — დე


სხვებ-ში არ შე-გე — ცვა — ლო.


ბუნდი
თუ კი ცო-ტა ვი-ცელ-ქე, ვი-ცელ-ქე, ი-სე ჯავ-რობს მა-მი-კო,


3
მა — მი — კო, თით — ქოს პა — ტა რო-ბი-სას
თვი-თონ ცელ-ქი არ- ი -ყო. დე-ლ.., დე-ლა, დე-ლა-სა - და.
ff

ხან— და- ხან თუ ვზარ- მა -ცოტ, ვზარ- მა -ცოტ,

გა — ნა მართ—ლა ცუ- დი ვარ, ცუ — დი ვარ.

3

ბე — ბი -კო — საც . ვუყ-ვარ -ვარ,


ბა - ბუ - კო - საც ვუნ - დი - ვარ
დე — ლი დე - ლა, დე - ლა - სა
ზუნდი
და.
რა ვუ - ყოთ რომ ა — ქა — იქ
გა — ვა - ჯავ - რებ მა — მი — კოს,
გა — ნა პა — ტა -



გ. ცაბაძე

ანა-ბანა




mf
ა - ნა ბა - ნა, ა - ნა ბა - ნა, მა - მამ შე - შა მო - გვი - ტა - ნა;
mf
ა - ნა ბა - ნა, ა - ნა ბა - ნა ვის ყავს მა - მა ჩვე - ნის - თა - ნა!


ოო რა ცე - ცხლი ბრი - ა - ლებს, ოო რა სით - ბო ტრი - ა - ლებს,
ა - ნა ბა - ნა, ა - ნა ბა - ნა, მა - ზამ შე - შა მო - გვი - ტა - ნა;
ჰეი!
სულ გა - ნათ - და ჩვე - ნი ბნე - ლი


ბი - ნა,
სუს - ხი ვე - ლარ შე - მო - გვი - ლებს


კარს,
ბუხ - რის პი - რას ჩა - მოვს - ხდე - ბით


ფბი - ლად
და ბანს ვე - ტყვით მო - გიზ - გი - ზე


ალს.
ა - ნა ბა - ნა ა - ნა ბა - ნა
მა - მამ შე - შა მო - გვი - ტა - ნა;
ა - ნა ბა - ნა; ა - ნა ბა - ნა,
ვის ყავს მა - მა ჩვე - ნის - თა - ნა!
რა - ღაც ჩვენც მო - ვა - ხერ - ხოთ,

შუ - შა მა - ინც დავ - ხერ - ხოთ.

ი - ნა, ბა - ნა, ი - ნა ბა - ნა,

მა - მამ შუ - შა მო - გვი - ტა - ნა!

ჰე!

ვ. გოკიელი

წითელქუდას სიმღერა




18
Allegretto
წ.
ა
რა-ა-ა-ა ქუ-დი-ა, რა,-ა-ა-ა
ქუ-დი-ა რა-ა-ა-ა ქუ-დი-ა, სი-წითლით
19 Moderato
ყა-ა-ა-ყა-ჩოს შე-ჯიბ-რე-ბი-ა
rit.
mf
მა-ჩუ-ქეს და-ბა-დე-ბის
p


წ.
დღეს' სხვა სახ_სო _ ვა _ რი რა _
-ლა _ სჯობს მამ_ შვე_ნებს დი _ ლის ვარ _ დი-ვით
ფე _ რით სჯობს წი _ თელ ყა _ ყა _ ჩოს

ს. ცინცაძე

სიმღერა შავ კატაზე

ტექსტი: **პ. გრუზინსკი**




ნი – ავ,
მი – აუ,
მი – აუ,
1. 2.
3.
rit.
ჩე – მო ფი – სუ – ნი – ავ.
ჩე – მო ფი – სუ – ნი – ავ.
Andante
მი – აუ!
gliss.
p
pp
morendo

რ. ლაღიძე

ვალსი კინოფილმიდან „ყვავილი თოვლზე“




მარ – გა – ლი – ტის მძი – ვად. ა – სე
მარ – ტო რომ და – ი – ხარ ნუ – თუ ა – რა
გცი – ვა? ი – ნა – თებს
mf
mf


მა - ლე, ი - ლვი - ძებს თბი - ლი -
სი. დავ - დი - ვარ, გე -
po - co a po - co.
ძებ, სა - და ხარ, ვინ ი - ცის.
cresc.

დილა

ხალხური



ია და ვარდო თამარო



მაია წყნეთელის სიმღერა

სიმღერა კინოფილმიდან „მაია წყნეთელი“

ტექსტი პეტრე გრუზინსკის

მუსიკა სულხან ცინცაძის




ვი?
ჰე - რი, ჰე - რი, ჰე - რი, ჰე - რი,
შე - ნი ეშ - ხით მე - ცა ვმღე - რი, მე - - ცა ვმღე - რი ა - სე
მა - ლი - მალ! ლექ - სი თი - თო - ო - რო-ლა - ო
მეც მას-წავ - ლე, ტო - რო - ლა - ო, მეც შენ - სა - ვით კენ - ტად


1.
2.
დავ - დი - ვარ.
დავ - დი - ვარ.
ff


mf
შე - - - - ნი სიმ - ღე - რა გაჰ - ყვე - ბა მა - შინ
mf
ფრთა-მა - ლი ქა - რის ქრო-ლა - სა,
მზე - - - - ო, ა - მო - დი, ა - მო - დი, მზე - ო,


ნუ ე - ფა - რე - ბი გო - რა - სა.
sf
f
ჰე - რი, ჰე - რი, ჰე - რი, ჰე - რი, შე - ნი ეშ - ხით მე - ცა ვმღე - რი,
f
მე - - - ცა ვმღე - რი ა - სე მა - ლი - მალ!
ლექ - სი თი - თო - ო - რო ლა - ო ვი - ცით მე და ტო - რო - ლა - მო



ბაში-აჩუკის სიმღერა

სიმღერა კინოფილმიდან „ბაში-აჩუკი“

ტექსტი პეტრე გრუზინსკის
მუსიკა სულხან ცინცაძის




ო, შენ რა - და გდის ცრემ - ლე - ბი,
სა, ა - მას ვნატ - რობ, მა - მუ - ლო,
შენ კი შე - მო - გვევ - ლე - ბი, ჩე - მო სა - მშობ - ლო მხა - რე -
ცრემ - ლით გა - და - ნა - მუ - ლო, შენ - თვის სიკვ - დი - ლი მა - ღირ
ო! შენ რა - და გდის ცრემ - ლე - ბი,
სა! ა - მას ვნატ - რობ, მა - მუ - ლო,
შენ კი შე - მო - გვევ - ლე - ბი, ჩე - მო სა - მშობ - ლო მხა - რე -
ცრემ - ლით გა - და - ნა - მუ - ლო, შენ - თვის სიკვ - დი - ლი მა - ღირ -


ო!
სა!
ე!
ე!
ე!
ე!
ე!
"ცა - - - ფი - რუზ, ხმე - ლეთ
ზურ - მუხ - ტო,
ჩე - მო სა - მშობ - ლო მხა - რე -


1.
2.
ω!"
ω!"
dim.
dim.
pp

თბილისის დილა

სიმღერა კინოფილმიდან „აბეზარა“

ტექსტი პეტრე გრუზინსკის
მუსიკა სულხან ცინცაძის




f
ხიმ - დე - რე - ბით თენ - დე - ბა. თბი - ლი - სიც ხომ
f
ხიმ - დე-რა-ა, ა - ვან-თებს და ვა - დაგ-წვავს, უ - თბი-ლი სად
1, 2.
3.
სა - ქარ-თვე-ლო ზღა-პარ-ში - აც ა - რა მწამს ა - რა მჯე-რა,
f
ა - რა მწამს.
sf

ჰერიო, ჰერიო

სიმღერა კინოფილმიდან „ჩაძირული ქალაქის მაძიებლები“

მუსიკა: **რევაზ ლალიძის**
ტექსტი: **პეტრე გრუზინსკის**




ბი - ქე - ბო, ბი - ქე - ბო, ბი - ქე - - ბო,


ჰე!


ქვეყ - ნად რამ - დე - ნი ზღვა - ა - რის,


რამ - დე - ნი ლურ - ჯი ცა ა - რის,


მაგ - რამ აქ მა - ინც სხვა ა -
რის.
ჩვე - ნი მზე უფ - რო თბი - ლი - ა,
ნი - ა - ვი უფ - რო გრი - ლი ა,


ჩვე - ნი
ცა
მა - ინც
სხვა
ა -
რის.
1.
2.
Glissando


ფიქ - რე - ბი - ვით
გა - - ფან - ტუ - ლან ზღვა - ზე აფ - - რე -
ბი, თით - ქოს ტალ - ღებს
შო - - რე - უ - ლი მო - აქვს ზღაპ - რე -


ბი.
და - კარ - გუ - ლი
ბა - - რა - თი - ვით
და - ქრის თო - ლი -
ა,
მი - სა - მარ - თი
და - - - ე - კარ - გა,
ვერ - უ - პოვ - ნი -


1.
2.
ა. ვერ უ - პოვ - ნი - ა.
რის.
𝄋 Ѳ
რის.

ინფორმაცია Linux პროგრამის შესახებ:
LMMS, ანუ Linux MultiMedia Studio

პროგრამა LMMS საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ მოტივები, მოვახდინოთ ბგერების/ხმების სინთეზირება, გამოვიყენოთ ხმოვანი ნიმუშები. პროგრამას გააჩნია MIDI კლავიატურის მხარდაჭერა.

როდესაც მომხმარებელი LMMS პროგრამას უშვებს მონიტორის ეკრანზე, ის აი, ასეთ გამოსახულებას დაინახავს:



პანელის ნაწილები (ელემენტები) დანომრილია. თითოეულ ელემენტს თავისი ფუნქცია აქვს:

- მთავარი მენიუ გვაძლევს პროექტის ფაილებთან, დანამატებთან და ონლაინ-ცნობართან წვდომის საშუალებას;

- ინსტრუმენტების პანელის მარცხენა ნაწილში ორი რიგია:

  ზედა რიგის ღილაკები დაკავშირებულია პროექტის ფაილებთან (შევქმნათ ახალი პროექტი, გავხსნათ არსებული, შევინახოთ მიმდინარე და გადავამისამართოთ ხმოვან ფაილში);

  ქვედა რიგის ღილაკების დანიშნულება ინტერფეისის ძირითად ნაწილში სხვადასხვა ფანჯრის ეკრანზე გამოტანა/დახურვაა.

- ინსტრუმენტების პანელის მარჯვენა ნაწილში წარმოდგენილია კომპოზიციის მართვის ზოგიერთი ინსტრუმენტი, მაგალითად, ტემპი, ტაქტის ზომა, ხმოვანების სიდიდე, ტონის სიმაღლე და ვიზუალიზაციის ძირითადი პანელი.

- გვერდით პანელს გააჩნია ექვსი ღილაკი. ნებისმიერ მათგანზე ზემოქმედება იწვევს შესაბამისი ჩანართის ჩართვა/გამორთვის მდგომარეობაში გადაყვანას.

  თითოეული ჩანართი გამოსახავს გარკვეული ტიპის ინფორმაციას: Instrument plugins (ინსტრუმენტები), My projects (ჩემი პროექტები), My samples (ჩემი ნიმუშები), My presets (ჩემი რეგულირება), My home (ჩემი სახლი), My computer (ჩემი კომპიუტერი) – ყველა ზემოთ მოყვანილი მომხმარებლის განკარგულებაშია კომპოზიციის შექმნისას.

როდესაც LMMS მონიტორზეა, იხსნება ოთხი ფანჯარა:

- Song-Editor (სიმღერის რედაქტორი) – აქ შესაძლებელია კომპოზიციის შექმნა.
- Beat+Bassline Editor (ნაბიჯების რედაქტორი) – აქ იქმნება დრამები (რიტმი).
- FX-Mixer (FX მიქშერი) – ხმოვანი მიქშერია, სადაც რეგულირდება ყოველი არხის ხმოვანება. მას გააჩნია დამატებითი ფანჯარა, სადაც შესაძლებელია სპეცეფექტების დამატება და მათი ურთიერთდაკავშირება.

პროგრამის გამოყენების ინსტრუქცია

მას შემდეგ, რაც ეკრანზე გამოჩნდება პროგრამა LMMS-ის პანელი, მარცხენა მხარეს დავაწკაპოთ ღილაკზე, რაც გამოაჩენს sempl-ების ჩამონათვალს. შევარჩევთ და ორჯერ დაწკაპებით პანელის მარცხენა კუთხეში სასურველი semple გამოჩნდება.

იმისათვის, რომ სასურველი semple ჩავრთოთ, დავაჭიროთ ჩართვის ღილაკს №1. იქვეა გათიშვის ღილაკი №2



ამ პანელზე მონიშნულია შემდეგი ღილაკები: ჩართვა (მარცხნიდან პირველი), გათიშვა (მარცხნიდან მეოთხე), ბითლაინის დამატება (მეხუთე).

იმისათვის, რომ არასასურველი SEMPLE წაიშალოს, იქვეა საშლელის ღილაკიც.

Project menu+import-ზე დაწკაპებით შესაძლებელია სხვა sempl-ის ჩასმა და მისი ხანგრძლივობის გაზრდაც.

იმისათვის, რომ სემპლის ხმოვანების ხანგრძლივობა გავზარდოთ, მარტივი მოძრაობის შესრულება მოგვიწევს – კურსორი ხელაუღებლად გავწიოთ.



როგორ შევქმნათ SEMPL-ი

შედით My Computer-ში და აირჩიეთ – C:\Program Files (x86)\LMMS\data\sample.

sample-ში შესვლისას შექმენით ახალი საქაღალდე.

დააკვირდით ქვემოთ განთავსებულ სქემებს და თანმიმდევრულად შეასრულეთ კონკრეტული მითითებები:






This PC
Local Disk (C:)
Program Files (x86)
flash 1
IV
lmms
mister rabbit
Dropbox
Camera uploads
Workshopfotos
OneDrive
This PC
Desktop
Documents
Downloads
Music
Pictures
Videos
Local Disk (C:)
Name
Adobe
Ashampoo
Audacity
Common Files
Dropbox
FORTE
Google
GRETECH
HP
InstallShield Installation Information
Intel
Internet Explorer
K-Lite Codec Pack
Launch Manager
LMMS
Microsoft.NET
NCH Software
PriMusFree